


ეროვნული
ბიბლიოთეკა



შინაარსი

ჟურნალ „ვეჯილისა“



ქვეყნული
გრაფიკული

I	ლიმანის ჩანჩქერი ბათუმის მახლობლათ. სურათი.	67
II	ნამქერი ლექსი შახ. გერმანაშვილისა	67
III	აბეზარი ეკ. გაბაშვილისა	69
IV	გულ-წითელი (ესკიმოსების თქმულება) ტასოსა	72
V	აიკის ხსოვნას. გარდაცვალების წლის თავზე (დასასრული შემდეგ)	75
VI	მგელი და ძაღლები (ეზოპიდან) ი. სისარუჯაძისა	83
VII	ფუტკართა დედოფალი. თარგმანი ტასოსა (შემდეგი იქნება)	85
VIII	წამართვეს! სოფიო ცხეიშვილისა.	89
IX	წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, და სხვა.	93
X	ბალში ვნახე. შიო მღვიმელის იუბილეის გამო, ლექსი ჯადო გეგეჭორისა	94
XI	ბიძია შიოს დავეირვეინება ეკ. გაბაშვილისა	96
XII	ვაიფიცა. გ. ა—ძისა (დასასრული)	99
XIII	ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია (დასასრული) დათაქო იაშვილისა	108
XIV	შობის წინა ღამეს. ჩარლ რობერტსისა, თარგმანი ან. წერეთლისა	118
XV	ძია შიოს (ძღენათ ნანა და პეგასაგან) ია ეგაჯაძისა	124
XVI	პატარა გმირი პანსი (ფრანგულიდან) მედეისა	126

მიიღება ხელის მოწერა

ვეჯილზე

1916 წლისა.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს, რომეღნიც თვე ნახევრის განმავლობაში არ მიიღებს ჟურნალს, მაშინვე აცნობოს რედაქციას.



ქართული
ბიბლიოთეკა



საქართველო ნახატებიანი

ჟურნალი



ქართული მწერების
დაბურთაგანდი ყიზილას
დ.

თებერვალი, 1916 წ.


156

◆ წელიწადი მეოცდაშვიდე ◆

თ ბ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1916



ლიმანის ჩანჩქერი ბათუმის შახლობჯართ.



ნამქერი.



არი ჭკრის, ქარი ბობოქრობს,
 აწუდება არე მარესა,
 ტრიალით მოაქვს ნამქერი
 გვიქოლაგს ეზოს-კა-
 რებსა.

ამ დროს საუდრის წინ კანკალებს
 ბრმა გლახა ერთი მოსუცი,

ტანს მონძი ოდნავ უფარავს,
 შიშველი უჩანს კანჭები.

გამულელ გამოძულელს მიჭმართავს,
 შესტირის უველას ცრემლითა:
 „დუთის გულისათვის... მოიღუტ
 ცოტა რამ თქვენი სელითა!..“

მაგრამ მის თხოვნა ვის ესმის!
 ისევე გულში უკვდება
 და გამოწვდილი ნამქერის
 თოვლითა, სელი ევსება.

აგერ გამოჩნდა გოგონა
 წიგნებით იღლიაშია,
 ტანს ძველი ფლახნი აცვია,
 კაბის ქვეშ დასთრევს არშია;



ფეხებზე დაუსვევია
 მხერების თუ ნარძის ნახვევი.

„ძიამ რო ფული მახუქა,
 მგონი აქ შევინახვევი,
 მოდი ამ საწყაღს ვახუქებ,
 დაძლოცავს—გავინახარდები“.

სთქვა და მას ხელში ჩაუდო
 თან აუცრემლდა თვალები.

— შენ გაეხარდე შენ მშობლებს,
 ზაწიაჲ, გენაცვალები!!

მის. გერმანაშვილი.



ა ბ ე ზ ა რ ი.



ანო ვეელას ძლიერ უეუარს, ეველა ჭკონის უბლერსებს, ეველას მისთვის ქრთაძი მოაქვს: ზოგს ჩურჩხელა, ზოგს ჩაძინი, ზოგს ბზრიალა მშვენიერი, ზოგს მფრინავი „დირიჟაბლი“.

მაგრამ ვანო აბეზარი მეტათ ცელები, ავი არის, არ უგონებს უმფროსებსა, არა სწავლობს გაკვეთილებს და სწავლის დროს სამაგივროთ ჭერში შემსხა და რ ბუშებსა სთვლის.

და თუ ვინმე მას დატუქსავს, ისეთს მორთავს ღრიალს, ტირილს თათქო ეელსა ვინმე სჭრიდეს.

დედა, მამა, ბებიები მოცვივიან ნებიერთან ~~გა~~ჯავრების მაგიერთ კვლავ აწვდიან კაკა-კუკებს.

წახდა ბავშვი, გაამაუდა, აღარ ესმის დარეგება და ეოველ დღე ვანოსაგან სახლში აღიარებოთია. დროს შედ არც დაიძინებს, კაიღვიძებს არ ჩაიცვამს და მას ნიკოს უჩხვლიტინებს და ამის მგზავს ცუდლუტობას მრავლისაგან მრავალს სჩადის, მაგრამ მანც უეუართ, უეუართ ეველას.

ერთხელ იცით ვანომ რა ჭქმნა? დაიჭიროს სატა-
 ური, თოკით ფეხები შეუკრა და სტოლის ფეხსედა
 მიანბა, მერე სამხარეულოში გაიქცა, მოიტანა მამა
 ცხელი და კატის კუდას მოუჭიროს. ციცო კნავის, ჭე-
 ვის, შფოთავს, ძრეულ ეწვის კუდი საწეაფს, ავი ვა-
 ნო კი იცინის.

გაბრახებულმა კატუნამ ძლივ-ძლივობით თათი
 იძრო და მოხარხარე ვანუას ლოუხსედა კი ჩა-
 მოუსვა.

— ვაი დედა, ვაი, მოგკვდი, მომეშველეთ მოგ-
 კვდი, მოგკვდი! აღრიბლდა ჩვენი ვანო.

ამ უვირილსედა შეფთხა კატა, სტოლი უფრო
 შეხმძრია, გადმოაგდო სანათური, იატაკზე ნავთი
 დაიქცა და მოედო ალი ფიცრებს.

სასლში სულ არავინ იყო, მხოლოდ მხარეულს
 მოესმა რა ბრახაბრუსი და ღრიალი, იმას ესლა გა-
 ახსენდა ვანოს წადებული მამა და სთქვა: ვაი თუ
 იმ ბავშმა ოთახში რამ გააფუჭა და შევარდა გულ-
 გამსკდარი.

ის მტრის თვალმა დაინახოს, რაც მან ნახა შე-
 სახარი. ოთახი ბოლით ავსილა, ვანოს ლოუხსედა
 სისხლი სდის, უვირის ვითა უადის ჯორი, სტოლის
 სუფრა მთლად დამწვარი და კუდა დამწვარი კატუნა
 სტუნაობს და ანთებულ იატაკზე სტოლს აქეთ-იქით
 დაათრევს.

— მადლი ღმერთს რომ შინ ვიყავი, მალე მოველ
 საშველათა, გადავარჩინე სასლი დაწვას და ეს შენი



აბესარი დიდი ცოდვის ჩადენასა, — ეუბნება მზარეულ
ლი მეორე დღეს ვანოს მამას.

— მართლს ამბობ, ჩემო მამო, უნასუსა ვანოს
მამამ და მადლობით გაისტუმრა და თვით ვანოს ას-
ლა კიარ გაუჯავრდა, დამწუკდია და თან კატის
დამწვარ კუდსედ მალამო დაადებია.

ამას იქით ვანოს იცით რას ეძახის უველა სასლა-
ში: „კატის კუდის ჭამიას, კატის კუდის ჭამიას“.

მკ. ვაბაშვილისა.





გ უ ლ - ვ ი თ ე ლ ა .

(ესკიმოსების თქმულება *)



იდ სუსსიან ზამთრის დამკეობაში ესკიმოსები ცეცხლს ჰირას თავს იურიან და ნადირობაზე ამბების მოთხრობით ერთობიან.

ესკიმოსების ბავშვებს უეუართ მეტათ იმ ფრინველებზე ამბების გაგონება, რომელნიც ჩრდილოეთს ცოტა ხნით ეწვევიან სოლმე.

მკელ დროში, როგორც კვიამბობენ ესკიმოსები, ხალხი თვითონ ვერ მოვულობდა ცეცხლს. ერთსეულ ვიდაცას, თვითონ მოსუცებულეებმაც არ იცოდენ ვის, მოეტანა მათ ჩრდილოეთში ცეცხლი და ესკიმოსები თვალის ჩინივით ინასავდენ ამ ცეცხლს. რომ არ გამქრალიყო. ცეცხლს დღე და ღამ უდარბაჯებდა ერთი მოსუცებული კაცი შვილით. ხალხმა კარგათ იცოდნა, რომ თუ ცეცხლი ჩაქრებოდა-ისინი სინათლესაც და სითბოსაც სამუდამოთ დაჭკარგავდენ და მთლათ გაივიანებოდენ.

ესკიმოსებს ჭკავდათ ერთი საშინელი მტერი-თეთრი დათვი, მას ძალიან გაესარდებოდა თუ ხალხი

*) ესკიმოსები ერთი მუჟა ხალხია, რომელნიც ჩრდილოეთ მხარეში ცხოვრობენ, ყინულიან ზღვებთან. საშინელი ღარიბი და გაუხანალებელი ხალხია. თევზაობენ, ნადირობენ ზღვის კატებზე და თეთრ დათვებზე.

ამოწუდებოდა. მაშინ მთლათ მთელი ჩრდილოეთი მისი საბრძანებელი გახდებოდა. თეთრი დათვი მუდამ თვალს არ ამორებდა ცეცხლის ალს და იმედი ჰქონდა, რომ როდისმე მანც ცეცხლი ჩაქრება. სალსი კი მეტათ უფროსნილდება ამ ძვირუას ცეცხლს, რომ სიცივით არ ამოწუვეტილიუვენ.

ერთხელ მოსუცებული დარაჯი ავად გახდა და მის შვილს მშველელი არა ჰქვანდა. დიდ სანს ცდილობდა ბიჭუნა, რომ დღე და ღამ ცეცხლისთვისაც უური ეგდო და ავათმეოფ მაძისთვისაც მოეულო. ბოლოს ვეღარ შესძლო, ფესზე ძლივს-და იღვა.

დათვი თვალს ადევნებდა და დარწმუნებულიყო, რომ უმაწვილი ვერ შესძლებს ცეცხლის შენახვას და თვითონ ნამდვილათ გაიმარჯვებს.

მოაღწია ღამემ, საბრალე უმაწვილს ღონე გამოეღია. თავი ჩაქინდრა და მაგრათ ჩაეძინა.

მაშინვე თეთრი დათვი მიჯარდა ცეცხლს და თავისი დიდრონი სქელი ტოტებით ცეცხლი გაღელ-გამოაღება და ჩააქრო. მერე შედ იგორავა და ბოლოს გული რომ მოიჯერა კმაყოფილი დაბრუნდა თავის ბუნაკში.

ამ დროს მასლობლათ მოფრინავდა ჰატარა ნაცარის ფერი ჩიტო. მან იცადა სანამ დათვი არ წავიდა, მირს ჩამოფრინდა, მონახა თავისი ჰაწაწინა თვალებით ნაცარში ნაპერწკალი და დაუწყო თავგაპოღებით ბერვა. ცეცხლის ალმა სულ გაუწითლა გული, მაგრამ ის შეუსვენებლივ ფრთებს აფართსუნებდა, სანამ ალი არ გაძლიერდა.

თეთრმა დათვმა რომ დაინახა ცეცხლის ალი, იგრძნო, რომ ის თავის დღეში ვერ აჯობებს ადამიანს. სხვა გზა არ ჰქონდა, ღრმად ჩაძვრა თავის ბუნაგში და მოჭყვა ბრდღვინას.

როდესაც დილით ემაწვილს გაეღვიბა ცეცხლი გაჩაღებული დაუსვდა, მაგრამ საცოდავს, დაღალულ — დაქანცულ ჩიტს გული წითლათ ჰქონდა დამწვარი.

მას აქეთ ამ ჩიტს გული წითელი აქვს და ემაწვიან გულწითელას. ესკიმოსების ემაწვილებს ძალიან უყვართ გულწითელა და სწამთ, რომ ეს იმ ფრინველის ჩშთამომავალია, რომელმაც დათვს ცეცხლის ჩაქრობის სურვილი ჩაუშალა ჩრდილოეთში.

(თარგმანი)

ტასოხი.





აკაკის ხსოვნას.



მ. ბ. ბ.



აკაკის სახსოვრათ მისი სიკუდილის წლის თავსე, 18 იანვარს „განათლების“ სასწავლებელში გამართეს საღამო თვით მოსწავლეებმა. აკაკის ბიოგრაფია, რომელსაც აქა ვბეჭდვით შეადგინა და წაიკითხა მოსწავლემ ა. კანდელაკისამ.



თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი იყო ქართველი ერის მკოხსანი; იგი დაიბადა იმერეთში — დაბა საჩხერეში 1840 წ. 9 თიბათუეს. მისი მამა როსტომი შეძლებული თავადი იყო. დედა კი ივანე აბაშიძის ქალი — მამია გურიელის დისწული — და დარეჯან ბატონიშვილის შვილის-შვილი. აკაკის დედა ფრიად განვითარებული, ჰატაოხსანი მანდილოსანი, ქრისტეს მორწმუნე, მტკიცე ხასიათისა, დასელოვნებული, გამოცდილი აღმწრდელი და სამაგალითო დედა. უწინ იმერეთის თავად-ახსნაურობას ჩვეულებათ ჭქონით ბავშვის გაბარება გლეხის ოჯახში. ჰატარა მებატონის ასეთს აღწრდას ერის ბედილობაში დიდი მნიშვნელობა ჭქონდა: მომავალი ბატონი ბავშობიდანვე ემის ოჯახში იწრდებოდა; ხედავდა გლეხის გაჭირვებულს ცხოვრებას, მის უცოდინარობას, დაბეჩავენას, სიღალღმართლეს და უკიდურეს სიღარბეს. ჰატარა კაკოც (ასე ეძახდენ აკაკი წერეთელს ჰატარობაში) განსწრდელათ ბავშობითვე მიაბარეს ერთს გლეხის ოჯახში სოფ. სავანეში. ექვს წლამდის კაკო გლეხის ოჯახში იწრდებოდა თავის ტოლ-ბიჭებთან. აკაკიმ სოფელ სავანეში მიძახთან აიდგა ფუხნი, აქვე ამოიდგა ენა, შეითვისა ხალხური კილო, გაიცნო გლეხის ცხოვრება — მისი ჭირ-ვარამი. აკაკის განსართობებს შეადგენდა სავანელ გლეხის ბიჭებთან თამაშობა და მიძის ზღაპრები. ამ ექვს წელში აკაკის გულში დაიბუდა ერისადმი უძღვეველმა სიუვარულმა, რომელიც შემდეგ მის სიმღერის უმთავრეს საგანს შეად-

გენდა. აკაკი თითონ მოწმობს, რომ მასზე დიდი გავლენა იქონია გლეხის ოჯახში აზრდამ და სავა-
 ნის სამოთხისებურმა ბუნებამ. ექვსი წლის აკაკი დედამამ მიიყვანა სასკოლო. დედის ხელმძღვანელო-
 ბით მან შეისწავლა ლოცვები, წერა-კითხვა—მხედ-
 რული და სუცური. რვა წლის აკაკის უკვე წაკითხუ-
 ლი ჰქონია „ვეფხისტყაოსანი“. ამავე წლებში აკაკი მიაბარეს ქუთაისში კლასიკურ გიმნაზიაში. თუმცა მას დედამა ბერათ ამზადებდა და ეს ასეც მოხდებოდა, რომ ერთს უბრალო შემთხვევას არ გადაე-
 წვეიტა აკაკის ბედ-იღბალი. აი საქმე რაში იყო: ერთ-
 ხელ აკაკი ჩამოვარდა ხის წვერიდან და ფეხი იღრმო. მოსარჩენათ მამამ ქუთაისში წაიყვანა. თავადი როს-
 ტომი აქ თავის საქმეებზე დადიოდა და რომ ბავ-
 ში მინ მარტოკა არ დაჩინილიყო, ამიტომ აკაკი დროებით მიაბარა ერთ ჰატარს სკოლაში. აქ აკაკიმ დიდი ნიჭი გამოიჩინა. როდესაც მამას უნდა დაებ-
 რუნებინა ბავში სასკოლო, ეველა მასწავლებლებმა ურ-
 ჩიეს თავად როსტომს აკაკი გიმნაზიაში მიებარებო-
 ნა. როსტომი დასთანსმდა და აკაკი მიაბარა ქუთაი-
 სის კლასიკურ გიმნაზიაში. ამ დროს გიმნაზიაში და
 სასოკადოთ სასწავლებლებში, ბავშვის გასაწურთნათ ფიზიკურ დასჯას პირველი ადგილი ეჭირბ სწავლა-
 აზრდამი. გადაჭარბებული სასჯელით ვინ იცის რამ-
 დენი ახალ-გაზდა დაამახინჯეს სამკადმოთ. ამისთან
 ადზრდა აკაკის დაწვრილებითა აქვს აწერილი თავის „მოგონებაში“. ამაჟი აკაკი ვერ შეეთვისა ასეთს მოუხეშავს წესებს, მაგრამ მისმა ნიჭმა და



გავლენიანი ნათესაობის დასმარებამ სელი შეუწეო
 აკაკის სწავლის გაგრძელებას გიმნაზიაში. მანც
 ჩვენმა მკოხანმა გიმნაზია სულ არ დაათავა, ოთხი
 თვე აკლდა უკანასკნელ კლასის დამთავრებას, რომ
 გიმნაზიას თავი დაანება და წაჰიდა ჰეტრეს ქალაქ-
 ში. აქ სამხედრო სამსახურში შესვლა სურდა, მაგ-
 რამ გადაიფიქრა და აღმოსავლეთ ენების სასწავ-
 ლებათ შევიდა უნივერსიტეტში 1862 წ. აკაკიმ
 დაამთავრა სწავლა, დაბრუნდა სამშობლოში და შე-
 უდგა ჩვენი ქვეყნის სამსახურს, მის კეთილ-დღეო-
 ბაზე ფიქრს. მწერლობის ნიჭმა მასში ძალიან ადრე
 იჩინა თავი; ჯერ კიდევ შვიდი წლისას დაუწერია
 ერთი კომედია, სადაც მოქმედ პირათ გამოუვანია
 თავიანთი ავი და გლეხთა მტანჯველი მოურავი. ამ
 სნიდან განუწვევეტლივ ისმის აკაკის ძალუმი ჩანგის
 ქღერა. ლექსების წერა მან დაიწყო გიმნაზიაშივე.
 პირველი ლექსი დასწერა 13 წლისამ „კანდელი“.
 ამავე წლებში დასწერა სცენები „ბატონ-ემობა“,
 რომელიც სელიდან სელში გადადიოდა, მაგრამ არ და-
 ბეჭდილა. ამ სცენების შინაარსი მეხატონეებისთვის
 ძლიერ საწეენი იყო, მაგრამ ნაწერები ისე ოსუნ-
 ჯურათ იყო დაწერილი, რომ ეველანი სიამოვნებით
 კითხულობდნ. ამ ნაწერებს მოჭევა სსვა ლექსები—
 ჰომეები და ამ რიგათ აკაკი შეურიც ცხოვრების ტალ-
 დათა ბრუნვას. ბავშობიდან დაწეებული 75 წლამდე
 აკაკის არ დაუგდია კალამი. ამ წლებში აკაკი ბუ-
 ჯითათ მუშაობდა ერის საკეთილ-დღეოთ, მას არ
 უღალატნია თავის კალმისათვის, თუძცა ბევრი სე-



ლის შექმნილი გარემოება გადაეღობა წინ. დროთა
მსვლელობამ მისი გრძნობა ვერ დააძაბუნა და აკი
დროთა მოსუცებული, სარეცელსედ ჰოემას გვიწერ-
და.

1915 წ. 26 იანვარს, ღამის 1 საათზე ჩვენი
ხალხის მკოსანი გამოესაღმა წუთისოფელს, დაბა
სახსერეში. ქართველმა ერმა მისი გვამი ჩამოასვენა
ქ. თბილისს და მიაბარა მიწას ძამა დავითის ეკლე-
სიის კალაზანში.

აკაკის მოღვაწეობა.

აკაკის ჭქონდა უბრალო განსაკები ენა—მისი
მოღვაწეობა ბევრნაირია.—ძან დაგვიწერა ძრავალი
ლექსები, დრამები, ჰოეები ისტორიული და ხალ-
ხური, მოთხრობები, იგაგები და სხვა. აკაკი მოგ-
ვითხრობს ქართველების წარსულს სივაჟაკაცეს—სიმ-
ლიერეს, დღევანდელ დაცემას და სიბეჩავეს. მის ამი-
რანს სწიწქის უვაჟუოჩანი. მკოსანი ჭხედავს თავის
სამშობლოში გამეფებულს უსამართლობას. მღაბიო
ხალხის გაჭირვებას და მდიდართა ფუფუნებას. მაგ-
რამ მიუსედავათ ამისა იგი არ ამწვაჟებდა დამოკი-
დებულებას მათ შორის. ამის მაგიერ აკაკი გვიქადა-
გებს გათანასწორებას, მობაერთობას. უმთავრესი
საგანი აკაკის ჰოეხიისა არის „ქართლის ბედი დღეს
და უწინ“. ეს ის საგანია, რომელსაც მწვაჟი ცრემ-
ლებით დასტიროდა ნიკოლოზ ბარათაშვილი. და
მძლე დარაჯათ ედგა ილია ჭავჭავაძე. აკაკიმ იმ მიხ-
ნით აიღო სელში ჩანგური, „რომ სიმართლეს მსა-
ხურებდეს“, რომ თავის სიმღერით ჩაგრულს ცრემ-



ლი მოსწმინდოს და მხაგვრელს გული გაუგმიროს. მკოსანი იმდენათ გატაცებულია ამ მისწრაფებით, რომ „არ შედრკება მისი გული გინდა ქვითაც დაიოქოლოს“.

აკაკის უნდა თავის სიმახრთლე დაამყაროს სამშობლოში, რომ ამით ააძაღლოს იგი და მოუპოვოს ღირსეული ადგილი კაცობრიობის შემადგენელ ერთა შორის. ზოეტი ვეველასე უწინ დასტირის საქართველოს აწმეოს—თავის გულის სატრფოს „მაგრამ იცით მისი სატრფო ვინ არის? ძველი ტურფა დღეს მკვდარივით მძინარი, ფეს-შიშველი, თავსე ლენაქ ასდილი“ და სსვა. აკაკის ტრფიალების საგანი მისივე სამშობლოა „ცხრა კლიტურში მჯდომარე“, რომელიც მოუთმენლათ ელის გამომსსნელთ. აკი აკაკის დაფი და ნაღარა უეივის გმირებს „ნესტანდარეჯან ქაჯებს, ჭეპვს მოელის ტურფა გამომსსნელს“ ამბობს სამშობლოსე. ამავე დროს აკაკის არ ავიწყდება, რომ ტურფის გამოსასსნელათ გმირების მართო შეკრება არ არის საკმარისი, ამ გმირებმა უნდა გული გულს მისცენ, ხელი ხელს ე. ი უნდა შეერთდენ, შეკავშირდენ და მაძინ, მხოლოთ მაძინ განათავისუფლებენ მვირფას ტევეს.

ვეველათ თავის ნაწერებში დრამა თუ ზოემა, ლექსია თუ მოთხრობა, აკაკი დასტირის თავის ხალხის დაცემას და ცდილობს მათს შეკავშირებას, იგი ამბობს: „ერთობა ჩვენთვის ტანტია, მტრებისთვის სასწრაფობელია“ და სსვა. აკაკის ლექსების თითქმის ვეველათ სიტევა „ერთობას და მშობას ჩაკვრურხულებს.

თუ ვინცობაა მკოსანს არ გაუგონებენ და რიგებან,
მაშინ აკაკი აფრთხილებს: „გამიგონე, ჭინჭარში ნუ
ვარდები, ნუ გკონია იქ ია და ვარდები“ და ასე
განაცხობს: „შეიბრალე შენი თავი, მაგ შარ-
ბათში საწამლავს სვამ იცოდე“ ან კიდევ ასე ამ-
ბობს: „გაუფრთხილდი, ნუ გჯერა მაგის ტკბილი ნა-
ნინა და სსვა... მაგრამ სატრფო—სამშობლომ მა-
ინც არ უსძინა მკოსანს. ამიტომ იგი გულ-მოკ-
ლული დაეშვა დაღმართ-დაღმართ, სად ელოდენ ბა-
რით, ნიხით, ლოდებით. მართალია პოეტმა დაჭ-
კარვა სატრფო, —სამშობლო ე. ი. ცხოვრების სა-
განი, მაგრამ დიდი მწუხარების და ძებნის შემდეგ
ისევა ჭპოვა დაკარგული სულიკო სამათ გაშლილი
—ბუღბუღათ, ვარდათ და ვარსკვლავათ. ამის შემ-
დეგ იგი აღარც ნაღვლობს და აღარც სტირის. მკო-
სანს ხელ-შეორეთ მოეცა ცხოვრების მისანი. ის
სიუვარული, რომელსაც აკაკი ეძებს გამშავებული,
ის ცხოვრების საგანი, რომლითაც სუნთქავს და
სცოცხლობს. პოეტი არის მისავე სამშობლოს უიღბ-
ლო ბედი ქართველი ერისა. მკოსანს სურს სამშობ-
ლოს თავისუფლება და უძღერის კიდევ. აკაკის თა-
ვის კერძო ტანჯვა არად მიანია შედარებით ერის
წუღულთან. იგი ამბობს, როდესაც ესმის მეზურნის
სევედიანი სმა:

„ნურვინ სცდილობს იმ ცრემლებში
ნასოს კერძო სიუვარული,
იქ იქნება საიდუმლო
გულ-გამხეთქი დაფარული“.



ქართული
ლიბრერი


აკაკი ძალამით ედება დახატულ მოძმეთ, აღონდ
ერმა ისარგებლოს მით.

ზოეტი ხშირად იგონებს სამშობლოს წარსულს,
მზვლითათ ერთ ლექსში ამბობს:

„ღმერთო რა მიუვარს ეს მწარე მოთქმა...

ბი უხლაცა ჩემი გონება სიმით გააცოცხლეს,
ხამღელვარეს, მომცეს წარსულთა დროთ მოგონება
და გარემოცვის სამშობლო მხარეს“.

(დასასრული შემდეგ)





გველი და კალღები.



(იგავ-არაკი ეზობიდან)

გველი სოფლებს ტანტალობდა
შიშხილისგან ძალ-მისდილი,
რომ საკბილო სელში ეკდო,
აეცდინა მით სიკვდილი.

უცებ ნახა ორი ძაღლი
ერთმანეთთან ძანსუბარნი,
შესდგა იქვე და თავის თავს
გაუმართა საუბარნი:

„დემერთი მწუხარობს, ვსედავ ჩემსე
თვისნი კაღთა გადმოძალა,
ჯერ დავიცდი, ხანგრძლივ ბრძოლით
წაერთმევა ძაღლებს ძალა,
და სწრაფლ მათთან მივიჭრები,
წარვიტაცებ მათ ადვილბთ,
ეელს გამოჭრი და ნელ-ნელა
შევეცევი ორვეს ტებილათ.

უცდის მგელი... მართალი ვსთქვა,
ბევრი ვეღარ მოითმინა,
გადაუსტა ძაღლებისკენ,
ვით შურდული მიირბინა,
უნდა ორვე იქვე დაჭკლას,



ეელში კბილი გაუეაროს,
 ფიცხლავ ზურგზე წამოიგდოს,
 და ტუისაკენ გააქანოს...

მაგრამ... შეცდა, სწრაფლ ძაღლებმა
 თვისი მტერი რა ისილეს,
 სტაცეს ზირი, სულ აჭკუწეს,—
 და ტკბილათაც ისაღილეს.

სჯობს ხანდისხან ჩვენც მიუბამოთ
 ცხოველების მაგალითებს.

სშირათ მათი მოქმედება
 კარგს რამესე მიგვითითებს,
 ძაღლებსავეთ ერთმანეთში
 ჩვენშიც ბევრი იკბინება,

მხოლოდ ვიტყვი, როდესაც რომ
 კარს მოგვაღებს მტერი ფლიდი,
 მაშინ მაინც გავისსენოთ
 ამ ორ ძაღლის მაგალითი.

ი. სიხარულიძე.





ფუტკართა დედოფალი.

(თარგმანი)



უსსიანი ზამთარი იდგა, გარეთ ციოდა, ქარი ზუსუნებდა. ძველ სკაში სითბო და ძუდროება იყო, ფუტკრები სასლაში ისხდენ ერთათ შეჯგუფულნი, ჩინებულათ გრძნობდენ თავს. ზოგიერთნი ჩასულიყვენ ცარიელ ფიჭებში და იქ მოეკლათებინათ. უძრავლესობა კი სავსე თაფლიან ფიჭებს შუა ვიწრო დერეფნებში ისხდენ.

— ოჰ, ოჰ, როგორა ცივა გარეთ, წაილანაზარკა ერთმა მოხუცმა ფუტკარმა.

— ნეტავი ადრე გაზაფხულდეს, წაიხურჩულას ძეორემ.

— მალე დაგვიდგება გაზაფხული! ცოტა დრო დაგვრჩა მიუგო მოხუცმა. ეს დამსახურებული ფუტკარი იყო, ეველა მას პატრივით ეპურობოდ და ღირსიც იყო. მას ბევრი რამ უნახავს თავის სიცოცხლეში. ეს მესამე ზაფხულია რაც ის ამ სკაშია, ფუტკრები მას ბებია ბურბრუძკას ეძახიან. ეველა ახალ-გაზრდები მას რჩევა-დარიგებას სთხოვენ და ისიც ეველას თავის შესაფერ რჩევას აძლევს, ჭკუა — გონებას ასწავლის. ისინი დარწმუნებულნი იყვენ, რომ ბებია ბურბრუძკამ ეველაფერი იცოდა რაც კი ხდება ქვეყანაზე.

ვეელაზე მეტათ იმაზე ზრუნავდა ბებია ბურბურუძე, რომ ფუტკრებს რაც შეიძლება მეტი სძინებოდათ ზამთარში, რომ არაზის არ დაეფთხო მათი ძილი. მან კარგათ იცოდა, რომ როგორც კი გაიღვიძებდნენ ფუტკრები მაშინვე დაესეოდნენ დამსადებულ თაფლს და სწრაფად სულ შესჭამდნენ, მერე სომ აღარაფერი დარჩებოდათ, რაღა ეძველებოდათ, შიმშილით უნდა დასოცილიყვნენ.

მან ფუტკრებს ბევრი რამ კარგი ასწავლა. აი ესაა ამ საშინელ სიცივეში მან ურჩია, რომ რაც შეიძლება მჭიდროთ მიჰკროდნენ ერთმანეთს. და რასაკვირველია ასე სჯობდა, რადგან ერთი მეორეს ათბობდა.

ყოველ დღე ბებია აძლევდა განკარგულებას, რომ ვეელას რეგობდა თავისი წილი საჭმელი. ის ფუტკრები, რომლებიც თაფლის ახლო იხსდნენ ფრთხილათ იღებდნენ ერთ წვეთ თაფლს ფიჭინდან და გადასცემდნენ მეორეებს, ისინი შესამეებს და ასე არც ერთი ფუტკარი უჭმელი არ რჩებოდა.

როცა დანაურდებოდნენ ფუტკრები აჩქარებით ფრთების რსევას დაიწყებდნენ. ამ დროს სკაში გუგუნის გაისმოდა. ამ გვარ ვარჯიშობის დროს ფუტკრები თბებოდნენ და მერე ისევ ტკბილ ძილს მიეცემოდნენ.

— თქვენ, ეი! იცოდეთ რომ, ვისაც ერთობა აქვს, ისინი ყოველთვის ტკბილათ ცხოვრობენ. სითბო-მეუდროება მათ არ შორდებათ. ნუ გეშინიანთ,



მალე დაგვიდგება გასაფხული, მაშინ ვკვლავან ეთ-
ბილება.

II

გასაფხული კი ჯერ შორს იყო. ბებია ბურბ-
რუძკა სცდებოდა. მწვანე ბალახის და ვეხვიდების მა-
გივრით დედა-ძინა თეთრი თოვლით იყო დაფარუ-
ლი. დამ-დამობით საშინლათ ჰქინავდა. დღისით კი
სადილი-ბამდის ბრწუნვალე მზე სასნიამოვნოთ ათ-
ბობდა არე-მარეს და ეს ატუუილებდა ზოგიერთ გა-
მოუცდელ ფუტკრებს, ისინი გამოფრინდებოდენ კი-
დეც სკიდან, ბრწუნვალე მზის სხივები თითქო აბრ-
მავებდა მათ, ვინჯა კი ფთრებს უეინავდა, საწელები
უღონოთ სცვიოდენ თოვლსე და არას დროს აღარ
ბრუნდებოდენ სკაში.

— მეკობრებო, სინამ ეს საშინელი სიცივეებია
ძიეკარით ერთმანეთს, ცალკე დარჩენილი ფუტკარი
უღონოა სიცივეში. ახალ-გაზრდა ფუტკრები კი არ
უგონებდენ ჭკვიან ფუტკრებს, გამოდიოდენ სკიდან
და თოვლში იხოცებოდენ.

III

ბებია ბურბრუძკამ ეს შენიშნა და ახალ-გაზრდა
ფუტკრებს გაუჯავრდა.

— ვერა სედავთ თქვე უგუნურებო, რომ დღე
დღეზე აკლდება ჩვენ სკას, სედავთ რამდენი თავი-
სუფალი ადგილი არის ჩვენ შორის. ამდენი რომ
დაისოცა, რაღა მოუვა ჩვენ ხალსს, თან და თან
დავცოტავდებით. საშინელებას! საშინელება.

— ბებია, თან და თან რომ გვანკლდება საჭმე-

ლი, სომ რაც ნაკლები დარჩება სკაში ფუტკარი, მით მეტი საზრდო მოგვემატება ჩვენ დარჩენილებს! უკმაყოფილოთ შენიძნა ერთმა ახალ-გაზრდა ფუტკარმა სახელათ ზუძ-ზუძმა.

— მართალია, მართალია, დაიზუსუნეს ფუტკარებმა, — რაც მართალია, — მართალია!

— მართალია, მაშ! განაგრძო ზუძ-ზუძმა, თაფლიც გამაგრდა, ძნელი საჭმელი გახდა!

— თაფლი ღვილი გასადნობია — მიუგო ბუბიამ — ხედავთ წებლის წვეთებს კედლებზე, აიღეთ ერთი და გაურიეთ თაფლში, მაშინ თაფლი დარბილდება.

— ჩვენ განა მეტი თაფლი არა გვაქვს? მაშ რა არის ამდენი თაფლი ახალ ფიჭვებში, რისთვის ინახავთ იმას — დაიძახა ზუძ-ზუძმა.

— შე უნამუსო, განა არ იცი, რომ ეს თაფლი დედოფლისათვის არის მომზადებული, შენი ლანარბაკი რომ გაიგონონ, სომ დაგსჯიან, გაგაცლიან ფრთებს და სკადან გაგაგდებენ. ჩვენ ვველანი დედოფლის მსახურნი ვართ, ის ჩვენი დედაა. ჩვენ უნდა დავიფაროთ ის ეოველი განსაცდელისაგან. შესედე — ჩვენ დედოფალს მთელი ფუტკარების გროვა იფარავს — ისინი მასი დარაჯები არიან, ისინი აჭმევენ მას საუკეთესო თაფლს, თუ მტერი დაგვეცა, ისინი თავს დასდებენ დედოფლისათვის. განა არ იცით ჩვენ რომ დედოფალი არა გვეუდეს არც სკა იქნება, არც ჩვენი გუნდი და აბა უიძისოთ როგორ ვიცსოვრებთ!

იტა.

(შემდეგი იქნება)



წ ა მ ა რ თ ვ ე ს!



დიდებულ მდინარეს არე-მარე
თან მოაქვს. გასაფსულის სით-
ბოს დაუკრავს გაფიცრულ ეი-
ნულისათვის, ნაჭერ-ნაჭერ და-
უძვრევიან და თითქო ცხვრის
ფარანა გაძლილი წუბლშიო, ისე მოე-
რეკება თაუდაღმა. ეინულის ნატყე-
ბიც თითქო ერთმანეთს ეჯობრებიან,
ხან ერთია წინ, ხან მეორე. ხალხი

სეირის საეურებლათ გამოფენილა.

ხატარა რვა წლის გოგონა მიძჯდარა ღობის
ძირას, მიუფარებია თვალეზე სელი და საცოდნავათ
თვალთაგან ცრემლები ღაზა ღუჭით გადმოსდის.

— რა გატირებს, ძვილო, გადმოსძასა ღობი-
დან მღვდლის ცოლმა, რომელიც ადიდებული წულის
სანასავათ გამოსულიყო.

ხატარა გოგონა ცოტა ხანს გაჩუმდა და გა-
ცებით შეაჩერდა უცნობს. მერე თითქოს ისევ მოა-
გონდა თავისი მწუსარება, სელ ახლათ მორთო ტი-
რილი.

— ვინ რა გატკინა, გოგო? არ ეშვებოდა მღვდლის ცოლი.

— წამართვეს... ძლივს წაილულულა გოგონამ.

— რა წაგართვეს?

— წა...მარ...თვეს...

— რა წაგართვეს, გოგო?

— ჰურის უუა!

მღვდლის ცოლმა აქეთ-იქით მიიხედა და დაინახა ღობის მეორე კუთხეში მიმჯდარი დაკონკილი ტანისამოსით ჰატარა მათხოვარ ბიჭი, რომელსაც ეჭირა ხელში ჰურის ნატეხი და ხარბათ სჭამდა. საცოდავად გამხდარ-გაუფითლებული ბიჭი მხეცივით აბრიალებდა თვალებს და ისე ხარბათ სჭამდა სძელ ჰურის ნატეხს, თითქოს გემრიელი ქადა—საჭაჰური იყოსო. მღვდლის ცოლს შეეცოდა დამძეული მათხოვარი და ველარ უთხრა რა.

— ნუ ტირი, საბრალო, მოიცა ცოტა, ესლავე თბილ ქადას გამოგიტან.— უთხრა მან მოუფრებთ მტირალ გოგოს და გაბრუნდა სახლისაკენ.

მანამ მღვდლის ცოლი უკან დაბრუნდებოდა ჰატარა გოგო სმა ჩაუღებლივ ტიროდა.

— აჰა! შე საწეალო, ჭამე! უთხრა მღვდლის ცოლმა მტირალ გოგოს და ხელში ჩაუდრა ნახევარი ქადა.

ამ დროს მათ მიუახლოვდნენ მენახირეს ცოლი ტანისა, რომელიც გოგოს გაცემით დაეკითხა:



— თებრო, გოგო, აქ რამ მოგიუვანა, შე მამონო!

— იცნობ მავ გოგოს, ტასიავ? დაეკითხა მღვდლის ცოლი.

— როგორ არ ვიცნობ, ჩემი სამშობლოდან არის, ეგ დაწვევლილი ამ სიშორეთ რამ წამოიუვანა.

— ჰატრონი არა ჭეავს? რად გაძოუშვიათ!

— დედა ჭეავს, ქალბატონო, მაგისტვის სადა სცალიან; იმას სამი შვილი კიდევ სხვა ჭეავს მოსავლელი, მაგის მომღვენოებია. მამა შარშან მოუკვდა. დედა ჰურის ცხობით არჩენს შვილებს.

— გახუდი, შე სასიკვდილე! რაღა გატირებს! მიუბრუნდა ტასია მოტირალ გოგოს.

— მომტაცა... მომტაცა... იმეორებდა თებრო.

— ოჰ, რა ღორ-მუცელა ხარ, გოგო! კარგია, გეყოფა. სირცხვილია!

— ჰურის უა წა...მარ...თვა.

— შენ და შენ ჰურის უას! განაქრობო, ხომ ხელში გიჭირავს ქადის ნატესი, ეგ არა სჯობს შენ ჰურის უასს! კარგი, ადე, წადი ახლავე სასლში, თორემ დაგიღამდება. მეც დავგვიანდი. — ღამე მშვიდობისა, ქალბატონო! სალაში მისცა ტასიამ მღვდლის ცოლს და გაუღვა კხას. მღვდლის ცოლსაც მობეზრდა გოგოს ტირილი, ქოქოლა მიაყარა და უთხრა:

— შენ კი გაქრი, მართლა ღორ-მუცელა უოფილხარ! რას ჩააცვიდი მავ ბიჭს, ხომ ხედავ რა

მშიერია! და შებრუნდა სასლში.

— წა...ძარ...თვეს, წა...ძარ...თვეს! — განისმა ერთი კიდევ გოგოს ტირილი.

და უცებ გაჩუმდა. მან ოვალე შეასწრო გაუვით-
 ლებულ ზატარა მათხოვარ ბიჭს, რომელიც ისევ იმ
 ადგილს იჯდა და სარბათ თვალ გაჭეტილი შესც-
 ქეროდა თებროს ხელებში ჩაბღუჯულ ქადის ნატესს.
 ბიჭს ცხადათ ეტუობოდა, რომ საშინლათ შიოდა,
 თებრო დაბატქერდა ზატარა გაუვითლებულ მათხოვარ
 ბიჭს და შეკრთა. თვალსე მომდგარი ცრემლი შეაშ-
 რა, შემდეგ თითქო მძინარე გამოადვიძესო წამოხტა,
 მიირბინა ბიჭთან, ჩაუდო ხელში ქადის ნატესი და
 რაც ძალი და ღონე ჰქონდა ისე მოჭკურცხლა თა-
 ვის სოფლისკენ, რომ ერთსელაც უკან არ მოუსედნია.

სოფიო ციციშვილი.

ეს „ამბავი“ ვიბოვეთ განსვენებულ სოფიო ციციშვილის ქალაღდებ-
 ში. ის თითქმის ჯეჯილის დაარსებიდან თავ-ღადებით და სიყვარულით
 მუშაობდა სიკვდილამდის. გარღაიცვალა 1905 წელს.



ანდაზები.

(წარმოდგენილია ჯღ. მარჯიაშვილის მიერ)

საწყალ ღვდლის ქადაგებას ძალა არა აქვს.

ბატონის ჯავრს ბიჭუნდ იყრიან, ცხენის ჯავრს უნაგირ-
ზედ.

ბრუნდეთ დაჯექი, სწორეთ კი ილაპარაკე.

არც მინდა შენი ლეშიო, ნურც ნურას შემომხენეშიო.

გამოცანები.

(მასკანგე წარმოდგენილია)

ის ვინ არის
ორჯელ იბადება,
გალობა იცის,
არ ფასდება,
როცა კვდება
არ იმარხება.

ხალიჩა მაქვს არ დაიბერტყება,
ოქროები მაქვს, არ დაითვლება!

(ქართლში გაცონილია)

არაოდეს მოიშლების, ჩარხივითა მბრუნავია,
ოთხ ნაწილათ იყოფების, ყველას ჰქვიათ სახელია
სამი მეტათ მშვენიერი, სამი ოქრო ბრწყინვალეა
სამი მეტათ ნოყიერი, სამი მეტათ მძვინვარია.



გამოცანიხა: გასაღები, საზამთრო, ცეცხლი, წურბელო.
შარაღა: კალაში.

ბ ა ლ უ ი ვ ნ ა ხ ე .



(შათ მღვიმელის იუბაღეს გამო)

აღში ვნახე, იაღონი
ჩასცქეროდა ვარდის გულსა,
გრძნობით სტვენდა და სამურს
აკენესებდა კრიმანჭულსა! *)

მიველ, ვკითხე: — ხომ არ მღერი
შენ დარღების გასაქრობათ?
მიპასუხა: — ჰანგებს ვკრეფავ
თქვენი შიოს შესამკობათ!

— რომელ შიოს? რომელია,
მითხარ, ნეტა, ის ნეტარი?
— თქვენი შიო, ყმაწვილებო,
აღმზრდელი და მეგობარი!

ოც-და-ათი წელიწადი
ლექსებს სწერდა მომხიბლავსა,
შეგზაროდათ, თქვენი ქვეყნის
სასიკეთოთ ხდებდა თავსა!

დღეს ამ შიოს ნამოღვაწევს
ულოცავენ თვითეულათ,

*) კრიმანჭული გამოვიდა მსწრაფ მთქმელ ხმას ჰქვიან
იმღერაში.

მეც ვარდს ჰანგებს გამოვსტაცებ,
რომ შევამყო ღირსეულათ!

სთქვა და ფრთასა ფრთა შემოჰკრა,
გადაფრინდა სულ სხვა მხარეს!
მისმა გრძნობით თქმულ სიტყვებმა
დამატყვევეს, გამახარეს!

ჩვენც დმერთს ვსთხოვოთ, ჩვენი შიო
ეგრე ტკბილათ დააბეროს,
რომ ლექსები არ მოგვაკლოს,
სულ სწეროს და სულ გვიმღეროს!

ლადო გეგეჭკორი.





ზიძია შიოს დაგვირგვინება.



უ, 14 თებერვალს სხაზინო თეატრში გა-
მართულ საზვიმო დილაზედ არ ყოფილ-
ხარ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, და-
ახლოვებითაც ვერ წარმოიდგენ იმ სა-
ზღაპრო მეგლის და აღფრთოვანებულ შეგებე-
ბას, რომელიც მოზარდმა თაობამ ფიანდაზათ
გაუშალა თავის გულთამხილავს, წრფელ მოა-
მაგეს, ერთგულ სულიერ ლალას, მთის წყარო-
სავით ტკბილათ და ანკარათ მორაკრაკე პოეტს
შიოს, ბავშვების ძვირფასს მგოსანს!

მუსიკა, გალობა, ცეკვა, პოეზიის საუკეთესო ნიმუშების დეკლამაცია, მშვენივრათ ცოცხალ სურათებათ დასურათბატებული შიოს ლექსების სულის კვეთებათა განსახიერება სცვლილდა ერთმანეთს და სუყველაფერი ეს შიოს პაწაწინა მოწაფეთა და სულიერ შეილთაგან იყო შესრულებული და სუყველაფერი ბიძია შიოს სიყვარული და თაყვანება ედვა სარჩულათ.

ბრწყინვალეთ განათებული და მორთული დიდი თეატრის დიდი სცენა საესებით სავსე იყო ბაღღთა თაიგულეებით და ყველა ეს მოძრაი, ცოცხალი და აბტაცებული არსებანი გარს ეხვივნენ და წრფელის სულით ქებათა ქების საკმეველს უკმეოდნენ თავის ბიძია შიოს.

შიო კი გარინდული, თითქოს სიზმარში მყოფი ამ არა ჩვეულებრივის ზეიმ-ნეტარებით გარშემორტყმული, თვალ-ცრემლიანი იდგა და ისმენდა, ისმენდა ამ ზეციურ ანგებით შეზავებულ გარმონიას.

ბოლოს ის აიყვანეს სამეფო ტახტზედ და ვით საზღაპრო მეფეს-მგოსანს დაფნის გვირგვინიც თავზედ დაადგეს.

კვლავ გაისმა სადიდებელი ხმა გალობისა, მუსიკის და დაგვირგვინებულს საზღაპრო მეფე—შიოს გარს შემოერთუნენ ყველა აქ მყოფნი ჩვენი გვრიტები და როგორც მამას, ერთგულს მწყემს-მთავარს გადაეხვივნენ, ეამბორენ და ვარდ-ყვავილი ფეხთ გაუშალეს.

სცენაზედ მყოფთ ბანს აძლევედა ვაშას ძახილით თეატრში მყოფი მშობელით კრებული და მთელი ბრბო მოზარდეების, რომელთ მრავალი რაზმი სცენაზედ ვერ დეგეტია და შორიდან აძლევედა მხურვალე სალამს ძვირფას ბიძიას.

და ამ თქეშვივით მოვარდნილ თაყვანებით ძალმიხილილი, გაღმობიერებული ბიძა-პოეტი ცას შეპყურებდა და თითქო გამჩენს სამადლობელ მსხვერპლსა სწირავდა, თვალ ცრემლიანი უჩუმრათ პირობას სდებდა, რომ ყოველ გაჭივრებას ცხოვრებით მიყენებულს ის დასთურგმნიდა და მხოლოდ ამ ძვირფას ბაღღთა სულიერ სამსახურისთვის შესწირავდა.

ცხოვრებისგან გულ გატეხილს
და ნახევრათ ხელ ჩაქნეულს,
ველარავინ ველარ მიცნობს
მე ბაღღებში ბაღღათ ქცეულს.

ცხოვრებისგან გადატეხილს
და ბედისგან მწარედ ძლოეულს
ვინ წამართმევს ამ სიმდიდრეს
ვინ წამართმევს ამ განძეულს?

ამ ბავშვების მისასალმებლათ დაწერილი და აღელვების
გამო არ წაკითხული ლექსი ცხადათ ჰყოფს, როგორ აფასებს
ბიძია შიო ბავშვთა პატივისცემას და სიყვარულს და როგორ
შეამკობს კვლავ ამ ძვირფასს სამკაულს და იმედებს მომავლისას.

ექ. ვაბაშვილისა.





გ ა ი ფ ი ც ა.

(დასასრული)



ონი ძალიან უდროვოთ დაკაცდა. შვიდი წლისას, როდესაც პირველი ჯამაგირი აიღო, დაეწყო ხანა სიკვამყისა. მან ერთნაირი დამოუკიდებლობა იგრძნო, ამან—მას და დედას შორის განწყობილება შესცვალა, როგორც მშრომელს და ოჯახის მარჩენალს, რომელსაც განსაზღვრული სარგებლობა მოაქვს. ჯონის—დედასთან როგორც ტოლს, ისე ექირა თავი. მოწიფულობის ხანა დაეწყო თერთმეტი წლისას, როდესაც ღამით მომუშავეთა რიცხვში ჩაეწერა. ქარხანაში რაკი ბავში ღამით მუშაობას იწყებს—ის ბავშვით აღარ მიაჩნიათ, მას უკვე დიდებოთ სთვლიან.

ამ ხანებშივე მოხდა რამდენიმე ღირს შესანიშნავი შემთხვევა ჯონის ცხოვრებაში. ერთი მაშინ, როცა დედა მისმა იყიდა რამდენიმე კალიფორნიული ქლიავი. მეორე მაშინ გახლდათ, როდესაც დედამ ერბო-კვერცხი მოსწვა. ეს ნამდვილი დღესასწაული იყო, ჯონი ყოველთვის სიამოვნებით იგონებდა ამ დღეებს. დედა კიდევ ჰპირდებოდა ერთნაირ საკმლის გაკეთებას, რომელსაც „მცურავ კუნძულს“ ეძახდა. ეს ალბათ ერბო-კვერცხზე კარგი იქნებოდა. რამდენიმე წელიწადი ოცნებობდა ჯონი იმ ნეტარ დღეზე, როდესაც ის მოუჯდება მაგიდას და დედა მთავრად „მცურავ კუნძულს“, მაგრამ ამაოდ. ბოლოს შეურიგდა იმ აზრს, რომ ეს ნატვრა ნატვრათ დარჩებოდა და არასოდეს არ ასრულდებოდა.

ერთხელ ფული იპოვნა გზაში. ამასაც დიდი მნიშვნელობა მიეცა ჯონის ცხოვრებაში. დანახა თუ არა ფული, მაშინვე მოაგონდა, რომ სახლში საკმელი მუდამ აკლიათ. აშკარა იყო თუ რა დანიშნულება უნდა მისცემოდა ამ ნაპოვნ ფულსაც: მიეტანა უნდა სახლში ისე, როგორც მაქიმონდა ს-



კუთარი ჯამეგირი. აღებულ ფულს თავის თავზე არასადასტურებლად არა ხარჯავდა. მაგრამ დღეს კი საშინლათ მოუწონდა რამე ტკბილის ქამა. ის დარწმუნებული იყო, რომ ცოდვას იდენდა; მაგრამ ნაპოვნის ნაწილი მაინც დახარჯა ტკბილეულობაზე. დანარჩენი გადასდო შემდეგისათვის, მაგრამ რადგან ჯიბით ფულის ტარებას დაჩვეული არ იყო, დაეკარგა. ეს მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც სინიდისმა ქენჯნა დაუწყაო და ფულის დაკარგვა ზეციდან მოვლინებულ სასჯელათ მიიღო ჯონიმ. მას ახირებული წარმოდგენა ჰქონდა ყოველის შემძლე, უხილავ და სასტიკ ღმერთზე, რომელმაც დაინახა თუ არა მისი დანაშაული, მაშინვე დასაჯა ის, დასაჯა ისე, რომ არც კი აცალა დამტკბარიყო ჩაღენილ ცოდვის ნაყოფით.

დაიწყებდა თუ არა წარსულზე ფიქრს, ჯონის მაშინვე მოაგონდებოდა ეს შემთხვევა, როგორც ერთად ერთი საყურადღებო დანაშაული თავის სიცოცხლეში, სინიდისი ქენჯნას დაუწყებდა და საშინლათ იტანჯებოდა. ეს ერთად ერთი შავი ლაქა იყო მის ცხოვრებაში. ყოველ მოგონებაზე უკმაყოფილო იყო ამ ნაპოვნი ფულისა ასე ფუქათ დახარჯვისა. რომ სკოდნოდა ღმერთი ასე დასჯიდა, ფულს ერთბაშათ დახარჯავდა და რაც იქნებოდა — იქნებოდა.

მას წარსულიდან სხვაც აგონდებოდა. ეს მოგონება იყო მკრთალი, ბურუსით მოცული, მაგრამ ამოუშლელათ ჩაბეჭდილი მის მეხსიერებაში — მამის ტლანქი, უშველებელი ფეხები. ეს არა ჰგავდა სხვა მოგონებას, ეს უფრო რაღაც მისსულთამხუთავს მიეგვანებოდა, რომელიც მოველინებოდა ღამით, დასცემდა მას ძირს და ისევ უბრუნდებოდა მამა-პაპათა სავანეს.

ეს მოგონება დღისით არასოდეს არ ელანდებოდა ჯონის. ის ყოველთვის ღამით წარმოუდგებოდა ჯონის სწორეთ იმ დროს, როცა ჯონის გონება და გრძნობა აღარ მუშაობდა. ამას ყოველთვის მოჰყვებოდა უძილობა, იმ დროს მას ეჩვენებოდა, თითქო ტახტის ბოლოზე იწვა და იქვე დედამამის სახე ბურუსში წარმოუდგებოდა. ჯონის არ ახსოვდა მამა. ერთად ერთი რასაც იგონებდა, ის — იყო მამის დიდი, ტლანქი ფეხები.

აღრინდელი მოგონებანი თან და თან გაჰქრნენ. ახალი კი ჯონის არ განეცადა. ჯონისთვის დრო ერთ გვარად მიმდინარე-

ობდა, როგორც გუშინდელი დღე, ისე გასული წელი, როგორც საუკუნე—ისე წამი. არაფერი იცვლებოდა მის გარშემო, არ იყო ისეთი შემთხვევა, რომელსაც უნდა მიექცია ჯონის ყურადღება. დრო თითქო ერთ წერტილზე გაყინულიყო. გარშემო იდგენ მანქანები, რომლებიც მუდამ ტრიალებდნენ, მაგრამ ისე კი, რომ ადგილიდან არ იძროდნენ.

თოთხმეტი წლის რომ შეიქნა გამხამებელთან გადავიდა სამუშაოთ. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯონის ცხოვრებაში, აქედან ახალი ხანა იწყებოდა მისთვის. ძილისა და ჯამაგირის ალების გარდა სხვა რამეზედაც შეიძლებოდა ფიქრი. აგრეთვე მან დაიწყო დროს განსაზღვრა.—ასე იტყოდა ხოლმე: „როცა გამხამებელთან დავიწყე მუშაობა“ „მას შემდეგ“... ან კიდევ ასე: „წინედ, სანამ გამხამებელთან გადავიდოდი“— ხშირად გავიგონებდით ჯონისგან ასეთ სიტყვებს.

საქსოვ განყოფილებაში გადასვლით და საკუთარი დაზვის მიღებით აღინიშნა ჯონისთვის თექვსმეტი წლის შესრულება. აქ კიდევ მიეცა სიხარულის საბაბი, ნარდ სამუშაოზე გადავიდა, რასაც ჩინებულათ შეეთვისა. მას ხომ მანქანაზე ჰქონდა ჭიბი მიჭრილი და ასეთ სამუშაოზე კარგად სხვა რაღა უნდა სცოდნოდა? სამი თვის თავზე მას მეორე დაზვა ჩააბარეს, შემდეგ სამი და ბოლოს ოთხსაც ასდიოდა.

ორი წლის შემდეგ საუკეთესო ფეიქრებზე მეტს აკეთებდა, სხვა საშუალო მუშას ხომ ერთი ორად სჯობნიდა. ასეთი ნაყოფიერი შრომის წყალობით მისი ოჯახის საქმეებიც თანდათან გამოკეთდა. მაგრამ ჯონის ხელ ფასი მთელ ხარჯს მაინც ვერ ჰფარავდა. ბავშები გაიზარდნენ, მეტი ჭამა უნდოდათ. სასკოლო ხარჯი კიდევ სხვა იყო. გარდა ამისა, რამდენადაც ბევრს მუშაობდა, იმდენადვე ჩქარა მატულობდა ყველაფრის ფასი. ბინის ქირასაც მოუმატეს, თუმცა შეუკეთებლობის გამო სახლი თავზე ენგრეოდათ.

ჯონიმ ტანი აიყარა, მაგრამ ახლი უფრო გამხდარი იყო. ძარღვები მეტათ აეშალა, მუდამ შექმუნული იყო და ბრაზიანობა დასჩემდა. ბავშვებს მწარე გამოცდილებამ დაუმტკიცა, რომ ჯონისთან ჩხუბი არ იყო მათთვის ხელ-საყრელი. დედა პატივს სცემდა მას, როგორც მუშას, ოჯახის მარჩენალს,

თუმცა ამ პატივისცემაშიაც ხანდახან შიში გამოსჭვიოდა.

ჯონიმ არ იცოდა თუ რა იყო მხიარული, უდარდელი ცხოვრება. დღე მისთვის შეუქმნევლათ გადიოდა, ღამით ეძინა და შავ-ბნელი სიზმრები სულს უზუთავდა. ის მუდამ დროს მუშაობაში ატარებდა და მუშაობდა ისე, როგორც თვითფული მანქანა. მუშაობის გარეშე იმისი გონება არა რას წარმოადგენდა. ჯონისთვის არ არსებობდა არავითარი ოცნება, გარდა იმისა, რომ იმას მოელოდა ჩინებული ყავის დაღვევა. ის შრომობდა უღლის ხარივით. მისთვის არ არსებობდა არავითარი გონებრივი ცხოვრება. მიუხედავად ამისა, საღდაც შორს იმისდა უნებურათ, გონების წიაღში იწონებოდა და ფასდებოდა შრომის თვითფული საათი, ყოველი მოძრაობა. მზადდებოდა ისეთი მოულოდნელი შემთხვევა, რომელმაც გააკვირვა როგორც ის, ისე მთელი ის კუთხე, სადაც ცხოვრობდა.

ეს მოხდა გაზაფხულის ერთ საღამოს, როცა ჯონი სამუშაოდან დაბრუნდა. მან საშინელი დაქანცულობა იგრძნო. როცა ვახშმათ ჯდებოდნენ, ყველას რაღაც არა ჩვეულებრივი სიხარული დაეტყო, ყველა რაღაცას მოელოდა, მაგრამ ჯონისთვის ეს შეუქმნეველი დარჩა. ის სკამდა თავისებურათ მოწყენილი, როგორც ყოველთვის. სხვა ბავშვები ნეტარებას გრძნობდნენ და ტუჩებს აცმაკუნებდნენ.

— იცი რასა სკამ? — ჰკითხა ბოლოს დედამ უკმაყოფილოთ.

ჯონიმ უაზროთ დახედა კერძს და დედას დააშტერდა.

— „მცურავი კუნძული“ მოგიმზადეთ დღეს. — აღტაცებით გამოუცხადა დედამ.

— ო — ამოიძახა ჯონიმ.

— „მცურავი კუნძული“ — რა გემრიელია! — ერთხმით გაიმეორეს ბავშვებმა.

— ო — კიდევ სთქვა ჯონიმ. გადაყლაპა ორი-სამი ლუკმა და დაუმატა: დღეს არა შშია რაღაც.

დასდო კოვზი, მძიმეთ წამოდგა, გადასდგა განზე სკამი და სთქვა:

— ვფიქრობ, ჩემთვის ძილი ყველაფერზე უკეთესია.

დაღლილობისაგან ფეხებს ძლივს მიათრევდა. ტანთ გახდა საშინლათ გაუძნელდა, და ისე გაუჭირდა, რომ იტირა



კიდევ ცალ ფეხზე გახდა ვერ მოასწრო ისე მიეგდო ლოგინზე. თავი დაუმძიმდა, გონება დაუბნელდა. მთელი სახსრები და თითები სტკიოდა, წელი და მთლათ ძვლები აუტანელათ სტეხდა. ქარხნის წივილი, მანქანათა და დაზგების ბრახუნი ერთმანეთში აირია მის თავში. აი ისა სდგას ათასი დაზგის წინ, ყველას უგდებს ყურს, გამალებული დახტიან მაქობი, ძაფი ეხვევა, დასასრული აღარ უჩანს.

მეორე დღეს სამუშაოთ აღარ წავიდა. დედამ სანამ სამუშაოზე წავიდოდა ექიმზე გაგზავნა. ავთამყოფს ფილტვების ანთება აღმოაჩნდა. მისი და — ჯენი მომვლელათ დარჩა ძმასთან.

ავთამყოფობა ისე გაუძნელდა, რომ მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ შესძლო ქვეშავებიდან წამოდგომა და ოთახში გავლა-გამოვლა. მეორე კვირაზე ექიმმა სთქვა, სამუშაოთ წასვლა შეიძლება. ქარხნის გამგემ ინახულა ჯონი შაბათს, ნაშუადღევს — ადგომის პირველ დღეს. ეს საუკეთესო ფეიქარია ქარხანაში — უთხრა მან ჯონის დედას. ადგილი ენახება. ორშაბათს, ერთი კვირის შემდეგ შეუძლია მოვიდეს სამუშაოთ.

— რატომ მადლობას არ გადაუხდი, ჯონი? — მზრუნველობით ჰკითხა დედამ.

— ისე მძიმეთ იყო ავად, რომ ჯერაც ვერ მოკეთებულა — ბოდიშის მოხდით უთხრა დედამ სტუმარს.

ჯონი იჯდა მოკუნტული და თავ-აუღებლივ იცქირებოდა ძირს. გამგის წასვლის შემდეგაც დიდხანს იჯდა ასე. თბილი დღე იყო და კარზე იჯდა. დრო გამოშვებით ტუჩებს აცმაცუნებდა, ეტყობოდა რალაცას ანგარიშობდა.

მეორე დღესაც გავიდა კარზე და მზის ამოსვლისთანავე ჩამოჯდა კიბის საფეხურზე ისევ ძველ ალაგას. ახლა ქალაღი და კარანდაშიც ექირა ხელში. სწერდა, ანგარიშობდა, ეტყობოდა ბევრი შრომა და ფიქრი სჭირდებოდა.

— მილიონებს შემდეგ რა არის? — ჰკითხა მან უილს, როცა ეს უკანასკნელი ნაშუადღევს სკოლიდან დაბრუნდა.

სალამოზე გაათავა გამოცანის გაკეთება. შემდეგაც, ყოველ დღე მხოლოდ ახლა უქალაღლოთ და უკარანდაშოთ გამოვიდა და დაჯდა აჩემებულ ალაგას.



კვირას, როცა ჩვეულებრივით იჯდა კიბეზე უცბათ გადინებარხარა. ამ სიცილმა ძალიან შეაწუხა დედა, რომელსაც რამდენიმე წელიწადი იყო, რაც ჯონის სიცილი აღარ გაეგონა.

მეორე დღეს, დილით დედა გათენებისას მივიდა ჯონის ლოგინთან გასადვიძებლათ. მთელი კვირის განმავლობაში მას ეძინა, რამდენიც უნდოდა და ამიტომ ადვილათ გაეღვიძა. არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია დედისათვის. საბანიც კი არ დაუჭერია, როცა დედამ გადახადა. ის დამშვიდებული იწვა ლოგინზე და მშვიდათვე უთხრა დედას:

— ტყუილათ მაწუხებ, დედა!

— დაიგვიანებ, შვილო—უთხრა დედამ. ეგონა ძილში ლაპარაკობსო.

— მე მღვიძავს, დედავ და კიდევ გიმეორებ, ტყუილათ მაწუხებ. თავი დამანებე, არ მინდა ადგომა.

— მაშინ ხომ სამუშაოს დაჰკარგავ!— შესძახა დედამ.

თვითონაც აღარ წავიდა სამუშაოთ. ჯონის საქციელი საშინელ ავთამყოფობათ მიიჩნია მან. ბოდვა და ციება აღვილი გასაგები იყო მისთვის, მაგრამ შვილის დღევანდელი საქციელი სიგიჟეს ჰგავდა. ჯონის საბანი გადაათარა, ჯენი კი ექიმთან გაგზავნა.

როდესაც ექიმი მოვიდა ჯონის მშვიდათ ეძინა. მას მშინვე გამოეღვიძა. გასინჯვის დროს არაფერი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

— არაფერი არაა—განაცხადა ექიმმა. დიდი სისუსტე აქვს, სხვა არაფერი, ცარიელი ძვლები-ლაა.

— ყოველთვის მასეთი იყო—სთქვა დედამ.

— ახლა წადი, დედი, გამოძინება მინდა!

ჯონი ლაპარაკობდა აულელევებლათ. გადაბრუნდა მეორე გვერდზე და დაიძინა.

ათ საათზე გაიღვიძა და ჩაიცვა. გავიდა სამზარეულოში. იქ იყო დედაც, იმის სახეზე შიში იხატებოდა.

— მივდივარ, დედი! უნდა გამოგემშვიდობო.

დედამ თავზე ფეშტამალი წამოიფარა. დაჯდა, ტირილი დაიწყო. ჯონი მოთმინებით ელოდა.

— ვიცოდი, ასე იქნებოდა—ქვითინით სთქვა დედამ. —

სად მიდისარ? ფეშტამალი ჩამოუშვა და გაკვირვებული ტერდა შვილს.

— არ ვიცი... საითაც მომიხდება...

— სამუშაო?—კანკალით ჰკითხა დედამ.

— მე აღარასოდეს არ წავალ სამუშაოთ.

— ღმერთო ჩემო!—დაიკვნესა მან—ჯონი, აღარ გამაჯონო ეს სიტყვები.

ეს სიტყვები ღვთის უარისყოფას უღრიდა დედის თვალში.

— რამ გაიძულა?—ჰკითხა მან შვილს და შეეცადა მის ხმაში სისასტიკე გამოხატულიყო.

— მოჩვენებანი!—მიუგა მან—სულ სხვა და სხვა მოჩვენების ბრალია. ბევრი რამ წარმომიდგა თვალწინ ამ კვირაში, სულ ერთი მეორის უკეთესი.

— რა მეშველება?—კიდევ ამოიკვნესა დედამ.

ჯონის გაელიმა. ის სულ გამოცვლილიყო, მოწყენილობა და სიბრაზე აღარ ეტყობოდა.

— აგისნი დედავ!—სთქვა ჯონიმ—საშინლათ დავილაღე. მერე რამ დამალა ასე? მოძრაობამ. რაც კი დაებადებულვარ სულ მოძრაობაში ვარ, დავილაღე, მეტი აღარ შემიძლია. მოიგონე ის დრო, როცა შუშეულობის ქარხანაში ვმუშაობდი. დღეში სამასი ღუეინი პრობკა უნდა მიმეკრა შუშებზე. ახლა გამოვიანგარიშე, თითო შუშაზე ათნაირი მოძრაობა მჭირდებოდა. ეს შეადგენს ოცდა თექვსმეტი ათასნაირ მოძრაობას დღეში. ათ დღეში სამას სამოცი ათასი—თვეში მილიონ ოთხმოცი ათასი. ოთხმოცი ათასს ნუ ჩავთვლით. დარჩება მილიონ-ნაირი მოძრაობა თვეში—თორმეტი მილიონი წელიწადში. საქსოვ ქარხანაში ორჯერ მეტს ვაკეთებდი, ეს შეადგენს თითქმის ოცდახუთ მილიონს წელიწადში. გავყვები ასეთ ფიქრებს და მგონია, რომ მილიონი წელიწადია, რაც მოძრაობაში ვარ.

— ამ კვირია სულ უძრავათ ვიყავ. მთელი საათობით გაუნძრევლათ ვიჯექი. ვარწმუნებ, დედი, ძალიან სასიამოვნო იყო ასე ჯდომა, დასვენება. წინათ არასოდეს არ ვიყავ ბედნიერი. მოსვენება არ იყო ჩემთვის. მუდამ მოძრაობაში ვიყავ. ამისთანა მდგომარეობაში არ შეიძლება აღამიანი ბედ-



ნიერი იყოს, ახლა აღარაფერს გავაკეთებ. ვიჯდები და ვიჯდები. დავისვენებ, რამდენიც მინდა.

— მერე რაღა ეშველება უილს, ან სხვა ბავშვებს?—
 ჰკითხა დედამ სასოწარკვეთილებით.

—ჰო, უილი, ბავშვები— გაიმეორა ჯონიმ.

არავითარი სინანული არ ისმოდა მის ხმაში. მან ღიღი ხანია იცოდა თავ-მოყვარე დედის ოცნება უმცროსი ვაჟის, უილის მომავალზე, მაგრამ ახლა ამას აღარ უფიქრია ამაზე. მას ახლა აღარაფერი აწუხებდა ქვეყანაზე.

— ვიცი, დედა, რასაც ფიქრობდი უილის შესახებ. გინდოდა იმდენი ესწავლა, რომ ბუჰვალტერი გამოსულიყო. მაგრამ ახლა ეს აღარ მოხერხდება, მე მივდივარ. უილი სამუშაოთ უნდა წავიდეს.

— და ყველაფერი ეს ეხლა, როდესაც გზაზე დაგაყენე, საუკეთესო მუშათ ითვლები—სთქვა დედამ და ფეშტემალი სახეზე კიდევ გადაიფარა.

— შენ არ დაგიყენებიავარ გზაზე, დედი!—სევდით, მაგრამ აღერსიანათ უთხრა ჯონიმ—მე თვითონ ვუვლიდი ჩემს თავს. უილიც მე გამოვზარდე. ის, ხნით ჩემზე პატარაა, მაგრამ ჩემზე სრულიც არის და მაღალიც. მე, ალბათ ბავშობისას ცუდათ ვიკვებებოდი. როცა უილი დაიბადა, მე უკვე ვმუშაობდი და მასაც ვასაზრდოებდი. ახლა მორჩა, უილს შეუძლია იმუშაოს. თუ არ უნდა და ჯანდაბას იქით წავიდეს, ჩემთვის სულ ერთია, მე დავილაღე, მივდივარ. ნუ თუ არ გამოიმეშვილობები?

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერს ვაკეთებდი, რაც კი შემიძლო—ქვითინით წარმოსთქვა დედამ.

ჯონი გავიდა სახლიდან და გაჰყვა ქუჩას. „ჰო, ამის შემდეგ აღარაფერს გავაკეთებ“—სთქვა მან დაბალი, მაგრამ მტკიცე ხმით. შეხედა ცას, მზის სხივებს თვალი ვერ გაუსწორა.

ღიღხანს ისეირნა. ასეთი თავისუფალი, უღარდელი სიარული, პირველი იყო მის ცხოვრებაში. გაიარა ქარხნის ახლოს. საქსოვ განყოფილებიდან მოესმა დაზგებისა და მანქანების ყრუ გუგუნე. ჯონის გაეღიმა. ეს ღიმილი იყო მშვიდობიანი, უღარდელი. ამ დროს არავისადმი სიძულვილს არა გრძნობდა ჯონი. თვით მანქანებიც კი არ ეჯავრებოდა. მას



მოსვენების მეტი აღარაფერი სწყუროდა ამ დროს.

რამდენადაც ქალაქის განაპირას უახლოვდებოდა, იმდენათ სახლებისა და ქარხნების რიცხვი კლებულობდა, გაშლილი, ლალი ადგილები მატულობდა. ბოლოს სულ გაშორდა ქალაქს, გავიდა დაჩრდილოულ საცაღფეხო გზაზე, რომელიც რკინის გზის ლიანდაგს მისდევდა. ჯონი ამ დროს არა ჰგავდა ადამიანს. ეს იყო რაღაც დასახიჩრებული, გამხდარი, უსახო არსება, რომელიც მიდიოდა ბაჯ-ბაჯით, როგორც ავადმყოფი მაიმუნი. დაგრძელებული ხელებით, მოკუნტული, ვიწრო გულ-მკერდით, სასაცილო და საშიშარი.

ის გასცდა რკინის გზის პატარა სადგურს, მიუახლოვდა ერთი ხის ძირს და ჩაწვა ბალახებში. მთელი დღე იქ იწვა. ხანდახან ჩასთვლემდა და მაშინ ძარღვები თრთოლას უწყებდენ. როცა გამოერკვევოდა, იწვა უძრავათ და შესცქეროდა სივრცეში მონავარდე ჩიტებს, ან ცას, ლურჯ ცას. ორიოდვე ჯერ კიდევ გაცინა, მაგრამ ამას არავითარი კავშირი არა ჰქონდა იმასთან, რასაც ხედავდა, ან გრძნობდა.

დაბინდებისას სადგურს გრუხუნით მოუახლოვდა საქონლის მატარებელი. როცა ორთქლმავალიმ ვაგონები მეორე ლიანდაგზე გადაათრია, ჯონი ხოხვით მიუახლოვდა ერთ-ერთ ვაგონს, ძლივს-ძლივობით აფოფხდა საფეხურზე, გაქირებით გამოაღო კარი და შევიდა ვაგონში. კარი ჩაიკეტა. ლოკომოტივმა დასტვინა. ჯონი იწვა ბნელ ვაგონში და ელიმებოდა.

გ. ლ — ძე.





ნიკოლოზ გარათაშვილი და მისი პოეზია.



ერმონტოვის სულის კვეთება გამოიხატება უფრო აშკარათ ერთ მის ლექსში: „И скучно и грустно:“ მოწყენილია, დაღვრემილია მგოსანი, არავინა ჰყავს ისეთი, რომ ხელი გაუწოდოს ძმურათ; მარტო სურვილები პოეტს ვერ აკმაყოფილებენ; „რის მაქნისია მუღდმივი, დაუსრულებელი სურვილიო“ სიმწარით ამბობს მგოსანი, სიყვარლის გრძობაც ვეღარ ამწვიდებს მგოსანს და თვით ცხოვრებაც „ცარიელ და უგუნურ ხუმრობათ“ მოეჩვენება. სასოწარკვეთილებამდის, თავ-დავიწყებამდის მიჰყავს პოეტი უიმედობას, უნუგეშობას.

ლერმონტოვი ვერ ურიგდებოდა თანამედროვე საზოგადოებას და გაბოროტებული, გულ ამღვრეული სამშობლო რუსეთსაც კი არ ინდობდა: Прощай немытая Россія, страна рабовъ.

თუმცა ლერმონტოვის მუხას ბაირონის გავლენა ღრმათ აქვს დანეული, მაგრამ იგი ყველაზედ პირველათ რუსი იყო, და მის პოეზიასაც თავისი საკუთარი ღირსებაც აქვს. თვითონ გვეუბნება პოეტი ლერმონტოვი თავის თავზე:

„Нѣтъ, я не Байронъ, я другой,
Еще невѣдомый избранникъ,
Какъ онъ гонимый міромъ странникъ,
Но только съ русской душой“.

როგორც ვხედავთ ლერმონტოვის ბუნება ძალიან წაავსავს ბარათაშვილის ბუნებას. თუ ლერმონტოვი იყო „ბედით დევნილი, მხოლოდ რუსული სულით“ ბარათაშვილიც „ბედით განაწამები“ იყო და თან ქართველური სულით, ქართველური ბუნებით აღჭურვილი.

გადავათვალთვალოთ ახლა ბარათაშვილის ლექსთა კრებულის, რომ უფრო მიუთხბლოვდეთ მის სულის საიდუმლოებას, მის სულის კვეთებას.

* * *

ნ. ბარათაშვილს სულ რაღაც 38 ლექსი დაუწერია, მაგრამ ეს ოცდა თვრამეტი ლექსი (მათ შორის ერთია პოემა) უფრო მეტს გვიჩვენებს, ვიდრე სხვისი მრავალ-ტომიანი თხზულება. ბარათაშვილის ლექსთა სიმცირე იმითაც აიხსნება, რომ იგი ახალ-გაზრდა გარდაიცვალა. რომ ეცოცხლა უსათუოთ ბევრს უკვდავ ნაწარმოებს შესძენდა ჩვენს ლიტერატურას. ამას გარდა მეტათ უფერული იყო ბარათაშვილის დრო; არც ჟურნალ-გაზეთები, არც თეატრი, არც სხვა რამ დაწესებულეობა მაშინ არ არსებობდა. ამიტომ პოეტს არაფერი აქვსებდა საწერათ. სამწუხაროთ რაც დასწერა, ყველამ ვერ მოახწია ჩვენამდის. დაკარგულია მაგალითათ მისი დიდი პოემა „ივერიელი“, ერთი ნათარგმნი ტრადედია ლეიზვეციისა (Юлиѣ Тарентскій) და სხვები.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ყოველ ლექსს სევდის თაღბი აკრავს... თვით ბარათაშვილი, ბედით განაწამები ტანჯული პიროვნებაა. მაგრამ ამ ტანჯვამ-წამებამ აღამალა მგოსანი, მან შეჰქმნა განწირული სულის დიდება; მან წარმოშვა ჰიმნი გლოვისა, რომელთაც უკვდავ-ჰყვეს მგოსნის სახელი.

ჯერ ისევ ქაბუქს ბარათაშვილს რაღაც უზილავი ხმა, რომელსაც პოეტი „იღუმალს“ უწოდებს, მოსვენებას არ აძლევს. აღსანიშნავია, რომ ამ გვარივე იღუმალი ხმა, დემონის სახით ლერმონტოვსაც სიყმაწვილეში თან სდევდა. იღუმალი ხმა ბარათაშვილს მოუწოდებს სულ სხვა დანიშნულებებისაკენ. ბარათაშვილი ჰკითხულობს ამ მოწოდებაში:

„ეძიე, ყრმაო, შენ მხვედრი შენი,

ვინძლო იპოვნო შენი საშვენიო“. ერთ მის წე-



რილშიაც ვკითხულობთ, რომ ბარათაშვილი თვითვე გრძნობდა, რომ მისი დანიშნულება სულ სხვა იყო, უფრო დიადი, უფრო მაღალი. „მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესო ხვედრისაკენ“, სწერს პოეტი, „გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისთვის დაბადებულიო! ნუ გძინავს! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამოამიყვანოს და დავადგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლათ ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურათ ვადმოგხვდავ ჩემს ასპარეზსა!“. ასე მწარეთ მოსთქვამს პოეტი თავის მდგომარეობას, ააშკარავებს შინაგან გულის ბრძოლას. მართლაც მას კაცი არ ჰყავდა, რომელსაც პოეტისათვის ძმურათ ხელი გაეწვდინა. ჩვენ ვიცით, რომ პოეტის საკუთარს ბიძას ვრ. ორბელიანს ადვილათ შეეძლო შეემსუბუქებინა ტანჯვა დის-წულისათვის, შეეძლო, მაგრამ მიუხედავად ამისა არ დაეხმარა; ტყუილათ არ ამბობს ნიკოლოზ ბარათაშვილი მეორე ადგილას თავის წერილში: „განა ქართველებში არის მეგობრული, ნათესავებრივი გრძნობა?“

ბიძა გრიგოლ ორბელიანი თითქოს შურით უყურებდა ბარათაშვილს, რომლის ნიჭის სიდიადე ჰჩრდილავდა უკვე გამოჩენილ პოეტის დიდებას..

ბარათაშვილმა გაუსწრო თავის ღროს და მართალია იგი, როდესაც ამბობს: „ახლანდელს მდგომარეობისათვის არა ვარ დაბადებულიო“.

ბარათაშვილი მუდამ ეძებდა თავის შესაფერ ხვედრს, ეძებდა გულის ტკივილით, და ამ ძებნაში განიცდიდა ტანჯვას, ვაებას;

„მაგრამ მე ხვედრსა-ჩემსა ვერ ჰვპოებ,
და კაეშანსა ველარ ვიშორებო!“

შემდეგ უკვირდებოდა პოეტი „იღუმალი ხმის“ მოწოდებას, სურს მიუხვდეს განძრახვას, უნდა შეიტყოს, ამ იღუმალ ხმას დალუპვა უნდა მისი, თუ ამაღლება, განდიდება? და თან თითქმის მუდართათ სთხოვს: „მარქვი სიცოცხლეს ჩემსას რას განუმზადებო?“

ეკვით შეპყრობილი პოეტი დიდხანს წვალობდა, - რათა გაეგო იღუმალი ხმის აზრი, ბოლოს მიუხვდა კიდევ, რომ იგი მფარველი ანგელოზი კი არ იყო, როგორც ეს წინათ ეგონა,

ეს იყო „ბოროტი სული“, რომელიც ხიბლავდა მას თავისი ალტქმა დაპირებით, ხიბლავდა მით, რომ ჯოჯოხეთს სამოთხეთ უსახავდა. დიახ! მგოსანი მიხვდა და ეკითხება: „სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემდა წინამძღვრათ, ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრათ?“ ახლა უკვე გამარჯვებულის და დაცინვის კილოთი მიმართავს იგი ბოროტ სულს: „მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი შენნი ალტქმულნი“ და თან უმატებს:

„განვედი ჩემგან ჭი მაცდურო, სულო ბოროტო! მაგრამ „ბოროტ სულზე“ გამარჯვებამაც ვერ დაამწვიდა მღელვარე გული პოეტისა, რადგანაც უკვე დაჰკარგა „მშვიდობა სულისა“ და დარჩა მას შემდეგაც „ქკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი.“

რა კი ასეთის ტანჯვით გაიმსქვალა პოეტის გული, რა კი მან ვერსად ჰპოვა „სიმშვიდე სულისა“ ერთად ერთი ნუგეში იყო მარტო მარტო დარჩენა, ბუნებასთან ახლო ყოფნა და მასთან საიდუმლო მუსაიფი.

ბუნება განუსაზღვრელათ უყვარს ადამიანს საზოგადოთ, და უფრო მეტათ კიდევ მას, რომელსაც ცხოვრებაში უიმედობა რგებია წილათ.

ბარათაშვილსაც უყვარს ბუნება, ბუნებაში ჰპოვებს მოსვენებას.

ლერმონტოვის „აჯანყებულს სულსაც“ მხოლოდ ბუნება ამშვიდებდა: მოიგონეთ მისი ლექსი:

Когда волнуется желтѣющая нива...

ბარათაშვილიც „ფიქრთ გასართობათ“ ხან სასაფლაოს ესტუმრებოდა, ხან მთა-წმინდას, ხან მტკვრის ნაპირებს, სევდიანი მგოსანი სულით ისვენებს, ტანჯვა უწყნარდება, როდესაც ხედავს, რომ მის წინ „მოღელავს მოღუდუნე მტკვარი ანკარა“, რომლის ზვირთებში „ჰკრთის ლაყვარდი ცისა კამარა“; პოეტი თავისუფლათ ეძლევა ფიქრებს: „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი, მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი“. მიმართავს მდინარეს. დარდი, წარსულით გამოწვეული, მყისვე იბადება პოეტის გონებაში; დარდი იგი ღრმავდება, და პოეტსაც ეს ცხოვრება „ამაობათ“ მოეჩვენება:



„მინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,
 თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი;
 ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს
 და რაც მიეღოს, ერთხელ ნატვრით იგი ეკმაროს“.

ამბობს პოეტი ნაღვლიანათ. თვით მეფენიც კი, რომელთა უმაღლესი აღარავინ არის, არ კმაყოფილდებიან თავისი ხედრით, ომობენ „იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან“. არც თუ კეთილი მეფეა მოსვენებული; იგი სულ თავისი ერის ფიქრსა და ზრუნვაშია, მაგრამ, უიმედოთ განაგრძობს პოეტი, ერთხელაც იქნება „სოფელსაც ხომ ბოლო უნდა მოეღოს, მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე ვინ სადღა იყოს?“ ბარათაშვილი აქ არ ჩერდება; მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაზე ყველაფერი წარმავალია, ყველაფერს ბოლო უნდა მოეღოს, მინც ღირს ცხოვრება, მოქმედება, შრომა ქვეყნის საკეთილდღეოთ: არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

* * *

ხშირად ესტუმრებოდა პოეტი ჩვენ მთა-წმინდასაც; ლექსი „შემოღამება მთა-წმინდაზე“ — ეს გლოვის ზარია, რომელშიაც გამოიხატა სულიერი მდგომარეობა ბარათაშვილისა:

„მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
 კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკათ მიმოვიდოდი,
 და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს შემოვეტრფოდი
 რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი.“

მწუხარე და ნაღვლიანს მგოსანს ბუნებაც მწუხარეთ ეჩვენება; მაგრამ ბუნების სილამაზე მინც ჰხიბლავს პოეტს; „მე შენსა მკვრეტელს შავიწყდება საწუთროებაო“ მიჰმართავს იგი ბუნებას;

მაგრამ მოსწყინდა ბარათაშვილს დედა-მიწაზე ფიქრი, მისი ფრთა-შესხმული ოცნება, შორს ცისაკენ მიისწრაფოდა:

ჰე, ცაო, ცაო,...

აწცა რა თვეალნი ლაქვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან!

მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!..

ქვეყნათ აღარ ჰქონდა ბინა განსვენებულ პოეტს და იგიც იძულებული იყო ცისათვის მიემართნა: „გულის თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურსო.“

ვერც მარტოობა, ვერც ბუნებასთან საუბარი და ფიქრი აკმაყოფილებდა ჩვენს მგოსანს; სტანჯავდა კიდევ მარტოობა, გულს უხუთავდა მოწყენილობა, ამწარებდა სულის ობლობა! „კიდევ მომნახა ჩვეულებრივმა მოწყინებამ, სწერს ნიკოლოზი თავის დას მაიკოს, ვისაც საგანი აქვს ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ მაიკო! სიცოცხლე მომძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში“. ამ სიტყვებს განმარტება აღარ ესაქიროება. პოეტი სულის ობლობით განუსაზღვრელ ტანჯვასა და მწუხარებას განიცდიდა! „საბრალოა მხოლოდ სული ობოლი“-ო, გვეუბნება ერთ თავის ლექსში, „მეგობართა, ნათესავთ მოკლებული, ისევ ჩქარათ ჰპოვებს სანაცვლოს გული; მაგრამ ერთხელ დაობლებული სული მარად ითმენს უნუგეშობას კრული!“ ბარათაშვილს ვერ ენახა ამდენს ხალხში სულიერი მეგობარი, რომ მისთვის გაეზიარებინა დაფარული გულის ზრახვანი. კვენსოდა, გმინავდა პოეტი და იმით ინუგეშებდა კიდევ თავს, რომ „ოხვრა არის შევება უბედურისა“.

მხოლოდ ერთს ლექსში იღიმება მგოსანი და იქაც „სევდიანი ღიმილით“: პატარა, გაპუნტული ბავშვი, ჩვილი ყრმა, მისი ტიკტიკი იზიდავს ნაღვლიანს პოეტს. ანკი ვის არ მოხიბლავს უცნაურის ხმით მოტიტინე ყრმა, „ოდეს იგი ენითა სასუფეველის უაღერსებს წიაღთა თავის მშობლის“; და უკვდავმა მხატვარმა რაფაელმაც, რომელსაც უნდოდა დაეხატა უნაკლოლო სურათი ქალისა, თავის მადონას ხომ ხელთ ჩვილი, გაპუნტული ყრმა ხელში დააკავებინა...

თვით ჩონგურიც კი, რომელიც აგრე როგათ უყვარდა მგოსანს, ვერ ამშვიდებს მის გულის მღელვარებას, რადგან

ჩონგურის სიმებიც სევდის—კაეშნის, ხმას გამოსცემენ. იგი საყვედურით მიმართავს ჩონგურს:

„ოჰი, ჩონგურო, ნეტავი ოდეს
 ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს“-ო;

ჩონგურისაგანაც კი მარტოოდენ „მოკლულის გულის ჩივილი“ ესმოდა, მაგრამ სამაგიეროთ მოთქმანი ჩონგურისა „წარსულთა დროთა მოგონებითა სულს აფიქრებენ;“ უტყუარს ხმას ჩონგურისას გადაჰყავს პოეტი წარსულში. დიდებულნი წარსული ჩვენი მას უყვარდა; იგი ერთს წერილში ამასათ ამბობს: „ვითომ როდის და რაში არ ვყოფილვართ კარგიო!“ ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს პოემა „ბედი ქართლისა“ შეიტყობდა, თუ როგორის სიყვარულით უცქერის პოეტი წარსულს. და განა შეეძლო პოეტს პატივით არ მოპყრობოდა იმ ქართველებს, რომელთაც „არად მიაჩნდათ უბედურება“ თუ კი ჰქონდათ „ქერთ ქვეშ თავისუფლება?“ ცეცხლით ინთება პოეტის გული, როცა აღგვიწერს ქართველთა ბრძოლას მტერთან:

„რა ნახეს ქართველთ გაქირდა საქმე,
 მყის ჩაიკეცეს ქულები თურმე,
 ხმაღს ხელი იკრეს მამა პაპურად
 და დაერივნენ თავისებურად“.

ეს იყო წარსულში, უწინ, როცა ჩვენი საქმე ჩვენ ქართველთვე გვეპყრა ხელში, როცა მამულიშვილობა სასახლოთ იყო ჩვენში“.

ოდეს კი ყოველივე გამქრალა, აღარც გმირობა, არც ვაჟ-კაცობა, აღარც თავ-განწირვა მამულისათვის, საქართველო ძაძით შემოსილა, და პოეტიც გლოვობს ჩვენს ბედ-შაობას, ჩვენს ერთობას დაკარგულს“. (ი. ჭავჭავაძე)

ძველ გმირებს, რომელთაც თავი დასდეს მამულისათვის პოეტი უგალობს:

ჭი, თქვენ, გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
 თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით,
 რაც ერთხელ ცხოვლად გულს დააჩნდების,
 საშვილი-შვილოდ გარდაიცემის“.

აწმყოს რომ ხედავდა ბარათაშვილი უფერულსა და უნუგემოს, გული უკვდებოდა; მან იცოდა კარგათ, თუ „რა



ხელს ჰყრის პატივს ნაზი ბუღბუღი, გალიაშია დატყვევებული?“

* * *

მაგრამ ღრმაა და განუზომელი, უსაზღვროა ტანჯვა პოეტისა; მას ვერც ბუნების მშვენიერება ამშვიდებს, ვერც მარტო ყოფნა, ვერც წარსულის მოგონება. მოუღრეკელია მგოსნის მღელვარე სული, განუსაზღვრელია მის ფიქრთა სრბოლა, მიუღწეველია მისი სურვილი.

„ვერ-ღა აუგო მგოსანს სიყვარულმა წმიდა ტაძარი;

ველარ აღინთო დაშთომილი მისი ლამპარი“

და ვიდოდა პოეტი ობლათ, „ისევე მწირი, მიუსაფარი“.

რა კი, რომ ბარათაშვილმა, ამ „მწირმა სოფლისამ, დღელვითა მისით დამაშვრალმა, გულ-მოკლულმა კაცთა სიავით და ბედის ბრუნვით“, ვერ იპოვნა ამ ქვეყნათ სადგური მყუდროებისა, რაღაი მან ვერსად შეასვენა თავისი „შავათ მღელვარე ფიქრები“ უკანასკნელათ მიმართა ერთად-ერთ იმედს—თვის მფრინავ მერანს, „რომლის ქენებას არ აქვს სამძღვარი“, როგორც არა აქვს საზღვარი თვით მგოსნის ქკუა—გონების და ფიქრების ქროლას.

პოეტი ვევედრება მერანს, გაფრინდეს იგი შორს, შორს... გადაატაროს ბედის სამძღვარი, რომ ამ ქროლაში, ამ ქენებაში მაინც მოიცილოს შავად მღელვარე ფიქრი.

ყველაფერი დამითმიაო, ჩემი საყვარელი მამული, სწორნი, მეგობარნი, მშობელნი, ტკბილათ მოუბარი სატრფოც-კი, „ოღონდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო“-ო.

ღალადებს პოეტი. ბევრი დაბრკოლება მოელის გზაზე მას, სულით ობლობა, მარტობა, ტანჯვა და კვნესა, მაგრამ ვერაფერი ვერ შეაფერხებს მის მსვლელობას, ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს მფრინავ მერანსა და თავ-განწირულ მხედარს.

„გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი,

გადაიარე კლდენი და ღრენი,

გასწი გაჰკურც*ლე და შემიმოკლე

მოუთმენელსა სავალი დღენი“-ო,

დაე, ნუ დაიმარხება მგოსანი თავის მამულში, წინაპართა საფლავებ შორის, ნუ დაიტირებს სატრფო გულისა, ნუ ეღირსება მისი ცრემლები; შავი ყორანი ხომ გაუთხრის საფლავს, ქარიშხალი მიაყრის მიწას მის ძვალთა შთენილთა, სატრფოს ცრემლის წილს ციურნი ცვარნი დაეცემიან, სვავნი მყივარნი უვალობენ ნათესავთა გლოვისა ნაცვლად...

ბარათაშვილმა იცოდა, რომ მის მიერ ამორჩეული გზა უვალი იყო, და მასთან სახიფათოც; იცოდა ამ გზაზე მას დაღუპვა მოელოდა, მაგრამ ისიც იცოდა, „რომ მის შემდგომათ მოძმესა მისსა, სიძნელე გზისა გაუადვილდეს“.

ბარათაშვილი პირველი იყო ჩვენს ლიტერატურაში, რომელიც „ცას იქითაც“ კი ეძიებდა ცისა და ქვეყნის საიდუმლოებას, ეძიებდა ქეშმარიტებას. მისი ხან მოკლე სიცოცხლე მუღმივი ძიება იყო, რომლის დროსაც დაჰკარგა „სიმშვიდე სულისა“ ქეშმარიტების ძებნას შესწირა ყოველივე პირადი ბედნიერება და მანვე მიიყვანა იგი თავ-განწირულებამდე.

მარტო ბარათაშვილი არ იტანჯვის სულით ამ ქეშმარიტების ძებნაში: მთელი კაცობრიობა—დასაბამიდან—დღევანდლამდე სძებნის ქეშმარიტებას.

ჩვენი დროის მწერალიც ლეონიდ ანდრეევი თავის ანათემას პირით დღესაც ლაღადებს: „სადა, სად არის ქეშმარიტებაო?“ მაგრამ ბევრი დრო გაივლის, რომ ვერ მიიღებენ ამ კითხვაზე პასუხს.

* * *

ამ ნაირათ ბარათაშვილის „შავათ მღელვარე ფიქრი“ დაჰქრის თვალ-უწვდენელ სივრცეში, ჰგოდებს საქართველოს ბედს, საქართველოს უბედურებას, ძებნის ქეშმარიტებას, ცდილობს ცისა და ქვეყნის საიდუმლოების შეტყობას.

ნ. ბარათაშვილი ერთს ლექსში ამბობს: „მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედიო“ და მართლაც განა იგი ქართველი ერის გარიჟრაჟის წინამორბედი არ არის? „სალამოს მისთვის ჩავიდა იგი, რომ დილა უფრო განეცხოველებინა“.

ბარათაშვილი, თავისის მისწერი ჩანგით ხელში პირველი ავიდა ჩვენს სათაყვანებელ მთა-წმინდაზე, იმ წმიდა მთაზე, რომელიც ქართველი ერისთვის გოლგოთაცაა და სამსხვერპლოც.



გოლგოთაა ეს მთა — რადგანაც აქ უსვენია ქართველ ერს შინაურ თუ გარეულ მტრისგან ჯვარ-ცმული სასიქადულო და სახელოვანი შვილები: ილია, აკაკი და დიმიტრი...

სამსხვერპლოა ეს მთა, მისთვის, რომ აქ, ყოველი ნამდვილი ქართველი თავის საუკეთესო, უკეთილშობილეს გრძნობებს გუნდრუკათ უკმევს და მსხვერპლათ ჰსწირავს აკაკის მგოსნობას, ილიას სიბრძნეს, დიმიტრის რაინდობას. და ყველაზე პირველათ ბარათაშვილი ამ მთაზე სევდის სიმღერას უგალობდა საქართველოს მომავალს. მან პირველმა ჩამოაჭრა აქ ოცნების ზარს და მოაჰფინა ყოველი მხრით შემოქმედების მთრთოლვარე ხმები; ამ მხმებში პირველათ ამოიკითხა ქართველმა ერმა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“. და ჩვენ რაღა დავგრჩენია, თუ არ მისივე სიტყვებით მივმართოთ მგოსანს: „კუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეგ განწირული სულის კვეთება და გზა უვალი შენგან თელილი, ბარათაშვილო, მაინც დარჩება“!

დათიკო იაშვილი.

1915 წ. ნოემბერი



შობის წინა ღამეს.

რობერტის.



ს ამბავი შობის წინა ღამეს მოხდა. სოფლის ეკლესია ვესტკოკში დაძველებული და უვარგისი იყო, ბოძები დამჰალი ჰქონდა და ისევე ღარიბათ გამოიყურებოდა, როგორც თვით სოფელი ვესტკოკი, რომელიც ჩრდილოეთ-ამერიკის ტყეებში და უდაბნოში მივარდნილი იყო. ეს ეკლესია მალლა გორაკზე იდგა და მის ძირს გაშლილიყო თოვლით გადაპენტილი სოფელი.

სოფელი სულ მოშორებით იყო მათი პასტორის სამრევლოდან 15 კარგი 15 ვერსი მანძილი იქნებოდა იქ მისასვლელათ. ტყეზე უნდა გაევიდნენ და გზა კი უმეტესათ დიდი თოვლით მოფენილი იყო ხოლმე. ძნელი გასაბედი იყო ამ შობის წინა ღამეს იქ წასვლა. პასტორი ღიღინას ტორტმანებდა, ეზარებოდა ამ სიშორეზე მისვლა. ბოლოს გადასწყვიტა აედარს არ შეუშინდეს და ამ შობის წინა ღამეს მრევლი უწირვოთ არ დასტოვოს.

პასტორს ისიც აბრკოლებდა, რომ ამ სოფელს არა ჰყავდა მუდმივი მგალობელთა გუნდი, რადგან ის ორიოდ სოფლელი კაცი, რომელნიც ისე უმწყობრათ გალობდნენ, რომ მგალობლებათ არც კი ჩაითვლებოდნენ—ანგარისში არ მიიღებოდა. საქმის გამოსაწყობათ პასტორმა, რომ თავის მრევლს ასიამოვნოს ამისთანა დიდ ღღინასწაულ ღღინას, გადასწყვიტა თან წაეყვანა თავისი 15 წლის დისწული, ლუიზა, რომელიც მშვენიერათ კლარნეტზე უკრავდა და თუ ამას წაიყვანდა, მაშინ ვერ გაღურჩებოდა თავის ხუთი წლის შვილს თედოს—ისიც უნდა წაეყვანა.

სოფლის პატარა ეკლესია სადღესასწაულოთ გაჩაღებული იყო სანათურებით, რომლებიც თვითონ მრევლს თან მოეტანათ. მათი დასაჯდომი ადგილები გარეცხილი და გაწმენდილი იყო. ეკლესიაში ძირს დაფენილი იყო ნაბდები. მარცხნივ ჩუმთ კაცები იდგენ და სასოებით გაიყურებოდნენ საკურთხევისკენ, მარჯვნივ მოთავსებულიყვენ დედაკაცები და ჩუმთ ერთმანერთს ეჩურჩულებოდნენ. ზოლოს საკურთხეველის გვერდით გაიღო პატარა კარი და გამოჩნდა პასტორი. მაშინვე ეკლესიაში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და ყველანი სმენათ გადიქცენ.

დედაკაცების წინ სოფლის მგალობელთა გუნდი მოთავსდა. ისინი მოღუშულათ გამოიყურებოდნენ. გრძნობდნენ, რომ თავიანთ მოვალეობის ასრულებას ვერ შესძლებდნენ.

პასტორი მაშინვე კათედრაზე ავიდა. იქვე საფეხურზე ჩასკუბდა მისი შვილი, პატარა თედო. ლუიზა კი თავისი კლარნეტით ამოუდგა გვერდით მგალობელთა გუნდს.

ჯერი დადგა მგალობლებისა. მათ საშობაო გალობა უნდა დაეწყათ. მოკრძალებით მოჰყვენ გალობას და უსათუოდ მარცხი მოუვიდოდათ, რომ ლუიზა თავისი კლარნეტით არ მიშველებოდა. მისმა ნახმა დაკვრამ მგალობელები წაახალისა. იმათაც უფრო გაბედულათ დაიწყეს გალობა.

არც ერთხელ აქ, ამ მიყრუებულ სოფელში, ამისთანა ამბავი არ მომხდარა, ამისთანა ნაზი მუსიკა არ უსმენიათ, მგალობლებს ასე მწყობრათ, ასე გატაცებით არ უგალობნიათ. თითქოს ყველა სულსა და გულს შიგ ანთხევდა და ზეცისაკენ იწვევდა იმ მაშვრალ ხალხს, რომ გაეჟარწყლა მათთვის ნაღველი და მწვავე ფიქრები, რომელნიც მთელი წლის განმავლობაში ტვირთათ აწევდათ, როდესაც გალობა შეწყდა, ხალხი მინც გარინდული და აღტაცებული იდგა. ხოლო პასტორის ლოცვამ გამოაფხიზლა მრევლი.

წირვა გამოვიდა თუ არა ყველა შემოეხვია ლუიზას, ურიცხვ მაღლობას ეუბნებოდნენ და ეალერსებოდნენ პატარა თედოს, რომელიც ჩაბლაუჭებოდა ლუიზას კალთას. ერთმა მოხუცებულმა ამოიღო ჯიბიდან გამხმარი ქადის ნაქერი და აჩეჩებდა თედოს. მეორემ აჩუქა წითელი თბილი ხელოთამანები, რომელიც თავის შვილი-შვილისთვის მოექსოვა.



— მე ჩემ დღეში ვერ მოვიფიქრებდი, ეუბნებოდა ლუიზას ერთი მოხუცებული დედაკაცი, რომ მაგისთანა უბრალო საყვირიდან შეიძლებოდა ამისთანა ხმების გაგონება. მე მეგონა ზეციდან ანგელოზები ჩამოვიდნენ და გვიგალობენო.

— ეს ხომ საყვირი არ არი, მოწიწებით შენიშნა თედომ, — ეს კლარნეტია. საყვირი მე მაქვს სახლში.

— მართალს ამბობ, ბავშო! უთხრა მოხუცებულმა და ისევ ლუიზას მიუბრუნდა. — შენი მუსიკა, რაც უნდა გაქვავებული გული იყოს, იმასაც კი მოალობს.

ამ დროს სამგზავროთ გამზადებული პასტორიც გამოვიდა მრევლთან. ყველას მიულოცა შობა და უსურვა ყოველი სიკეთე. მას მოესმა მოხუცებულის უკანასკნელი სიტყვები და ამაზე თქვა:

— მართალს ამბობ, ლუიზა მშვენივრათ უკრავს, მაგრამ ის კი არ ვიცი ამისი დაკვრა როგორ იმოქმედებს მხეცებზე, თუ დღეს მოგვიანებით წასვლისას გზაზე დაგვიხვდებიან.

პასტორმა გარეკა ცხენი, გამძლარი და დასვენებული ცხენი სწრაფლათ გაქანდა, მალე სოფელიც და ეკლესიაც უკან ჩამორჩათ. კარგა დიდი მინდორი და ბუჩქნარი ჰქონდათ გასავლელი, ხოლო ზოგ-ზოგ ადგილას თოვლიდან ჯირკი გამოჩნდებოდა, რომელიც თედოს დათვათ ელანდებოდა, თუმცა მას სულაც არ ეშინოდა დათვისა, ის დარწმუნებული იყო, რომ მისი მამა ათას დათვსაც მოერევოდა.

ბოლოს შევიდნენ ტყეში. გზა ვიწროთ მიდიოდა. ას წლოვანი ხეები თოვლით შემოსილი დასცქეროდნენ ამათ. წყნარმა და მოწყენილმა სვლამ თედოს თვლემამ მოჰგვარა. ის მარხილში ჩაწვა და დაიძინა.

გზა თან და თან ძნელი გასავლელი გახდა, ცხენს დაღლილობა შეეტყო. მარხილის ხარი მოწყენილათ არაწყუნებდა ამ მიჩუმებულ ტყეში და თვლემას ჰგვრიდა ყველას. ერთბაშათ შუაგულ ტყიდან გაისმა უცნაური ხმა.

— ეს რა უნდა იყოს? წაიბუტბუტა ლიუზამ და პასტორისკენ უნებლიეთ მიიწია.

პასტორმა ხმა არ ამოიღო, ხოლო ადვირს მოუჭირა და ცხენს შოლტი გადაჰკრა, თითქოს აფრთხილებდა: შიში მოგველისო და გასწი ჩქარაო. გაფრთხილება არ იყო საჭირო,



ცხენი სწრაფათ გაქანდა. პასტორი იკავებდა, თორემ უფრო სწრაფათ გაქანდებოდა

ამათ ერთი მხრიდან მოესმათ ისევ ის უცნაური ხმა, ხოლო მარხილთან უფრო ახლოს, ეს იყო შემაწუხებელი, გაგძელებული ღმუილი, რომელიც თავდებოდა რაღაც ქრიალით, თითქოს ხეებს ხერხავენო.

— ეს რა უნდა იყოს? ხელ ახლათ იკითხა ლუიზამ, რომელსაც კბილი კბილს აცემინებდა.

პასტორმა ნება მისცა ცხენს, რომ უფრო სწრაფლათ წაეყვანა მგზავრები.

— ვშიშობ ვაი თუ ეს ჯიქი იყოს, ვეფხვის ჯიშისა, აქაურები რომ ეძახიან ინდოეთის ეშმაკს, — სთქვა პასტორმა, — მგონი ჩვენთვის საშიში არ უნდა იყოს. თუმცა ყველასი მოსისხლე მტერია, მაგრამ ჩვენზე ვერ გაბედავს დაცემას.

— მერე რა დაუშლის რომ დაგვეცეს თავს? იკითხა ლუიზამ.

— ჩვეულებრივ ის მარტოხელს დაეცემა ხოლმე. უპასუხა პასტორმა — ძალიან ფრთხილი მხეცია, როდესაც ნახავს ადამიანებს და ცხენს და მარხილს — ვერ გაბედავს. მართალია ყოფილა მაგალითი, რომ ჯიქი მგზავრებს დასცემია, მაგრამ იმედი მაქვს ჩვენ არაფერი დაგვემართება. მაინც და მაინც უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მალე თავიდან მოვიშოროთ.

— აბა, ჩემო ჯერრი, თავს ძალა დაატანე, გვიშველე! მიუბრუნდა პასტორი ცხენს.

პასტორი გაშმაგებული ლალამდა ცხენს, მაგრამ ჯიქი უკან არ რჩებოდა. მისი ღმუილი სულ ახლო და ახლო მოისმოდა. პასტორი თანდათან იღუშებოდა, საქმე იმაში იყო, რომ მათ არა ჰქონდათ თავის დასაცველი იარაღი. ხოლო შოლტი! მაგრამ ამითი მარტო მხეცის განრისხვა შეიძლებოდა.

ამ დროს პასტორმა ბინდ-ბუნდში დაინახა მხეცი, რომელიც მათთან სულ ახლოს, გზის სისწვრივ ბუჩქებში დახტოდა.

— ხედავ სად არის! დაიყვირა უცებ შეშინებულმა ლუიზამ, იმავე წაშს თედომ მალლა აწია თავი, შეხედა მამას და ტირილს მოჰყვა.

ჯერრი მიჰქროდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაფხლულ

*) ლეოპარდი, პანტერი.

თოვლზე, მხეცი მარხილს სულ ახლო და ახლო მისდევდა, ათ ნაბიჯზე იქნებოდა.

თელი აღარ ტიროდა, საშინლათ შეშინებული აბრიალებდა თვალებს და გზისკენ გაიყურებოდა. მაგრამ ერთბაშათ რო მოესმათ ხმა, რომელიც მიჩუმებულ ტყეში გაისმა, თავზარდაცემული ჩაძვრა ისევ მარხილში. ეს ხმა იყო კლარნეტისა, რომელიც ლუიზამ ისევ მარხილიდან ამოიღო. მან მოიმარჯვა საკრავი და მხეცს შიგ ხახაში ისევ მძლავრათ ჩასძახა, რომ გაოცებული ჯიქი, რომელიც მარხილთან სულ ახლოს იყო ერთ წამს შედგა და შერე ბუჩქებში გახტა. ლუიზამ გაბრწყინებული სახით შეხედა პასტორს.

— ღვთის მადლით მოვიშორეთ! შეპყვირა პასტორმა. ლუიზასაც, ეგონა რომ სრული გამარჯვებულია, მაგრამ პასტორი მაინც გაშმაგებული ლალამდა ცხენს და დიდი ყურადღებით ათვალისწინებდა არე მარეს, იტკირებოდა აქეთ-იქით და მოელოდა ხელ ახლა მხეცის თავ-დაცემას.

მართლაც სულ ხუთიოდ წუთს არ გაუვლია, რომ ხელ ახლათ გაჩნდა ჯიქი, რომელიც ორმოც და ათ ნაბიჯზედ მოსდევდა მარხილს. მაგრამ მის მოძრაობას რაღაც გაუბედავობა ეტყობოდა, ხან წინ გახტებოდა, ხან შედგებოდა, თითქოს რაღაზედაც ფიქრობდა. ბოლოს დაიწყა გაბედულათ მარხილთან მოახლოვება. ლუიზამ ადრინდელივით მიიღო პირს კლარნეტი და ხელ ახლათ მყუდრო ღამის სიჩუმეში ძალუმი ხმა გაისმა. გაოცებული მხეცი ხელ ახლათ უკან გადავარდა. მაგრამ ბუჩქებში აღარ იმალებოდა, მარხილს გზა-გზა მისდევდა და როგორც კი ლუიზა შეაჩერებდა კლარნეტზე დაკვრას იმ წამსვე ჯიქი მარხილს უახლოვდებოდა.

— უფრთხილდი თავს, შეილო, — ძალა არ დაჰკარგო, უთხრა პასტორმა ლუიზას, — როდესაც პანტერა მოგვიახლოვდეს, ხოლო მაშინ მიჰმართე კლარნეტს.

ჯიქი ხელ ახლათ ოც ნაბიჯზე მოახლოვდა. ლუიზაც ხელ ახლათ კლარნეტის დაკვრით დაუხვდა. ჯიქი ახლაც შეშინებული, გაკვირვებული შედგა. რამდენჯერმე განმეორდა ეს ამბავი.

მხეცს ვერ მოესაზრა თუ ვინ უნდა იყოს ამისთანა საკვირველი ხმით, რომელიც თავისი ძალუმი ანგით გასაოცრათ

ხიბლავდა მას, არას ღროს არ სმენია მას ამ გვარი ხმა. ეტყო-
ბოდა მხეცს, აკვირვებდა კიდეც და აზინებდა კიდეც. იგი ვერ
ბედავდა ახლოს მიჰქარებოდა იმ სულიერს, რომელსაც ასეთი
გავლენა ჰქონდა მასზე.

ბოლოს მხეცმა გადასწყვიტა სხვანაირათ მოქცეულიყო.
გახტა ტყეში და ეცადა მარხილს წინ მოჰქცეოდა.

ბებერი ცხენი თანდათან ძალას ჰკარგავდა, პასტორი კი
შოლტს არ ზოგავდა, სულ აჩქარებდა და აჩქარებდა.

ახლა ჯაქი ცხენის გასწვრივ მირბოდა, საშველი არ
იყო, ბებერ ჯგერის ის ის იყო უნდა დასცემოდა, რომ შიგ
ყურში მოესმა კლარნეტის უცნაური, საშიში ხმები. ხელ ახლათ
გახტა ბუჩქებში და გაგულისებული ბრღვეინავდა.

ძლივს მოეღო ბოლო ტყეს. მხეცის გაბედულობასაც
ბოლო მოეღო. მახლობელ ფერმიდან მოისმა ძაღლის
ყეფა. დაღლილი, ღონე მიხდილი ლუიზა მიესვენა მარხილის
ზურგს, თედო გულ შემოყრილი ეგდო მარხილში, მოხუცი
ჯგერი ქლოშინით გაჩერდა ფერმის კარებთან, ისეთი საშინე-
ლი ორთქლი ასდიოდა, იტყოდით ძალზე გახურებულ აბანო-
დანააო.

ძაღლის ყეფაზე და ხმაურობაზე გამოვარდა ფერმის პა-
ტრონი, მას გამოჰყვა გარეთ მისი ოჯახი. პასტორმა თავიანთ
თავგადასავალი უამბო. ჯგერი ისეთი დაღალული იყო, რომ
სახლში მათ ვეღარ წაიყვანდა, პასტორს კი ეჩქარებოდა ოჯახ-
ში დაბრუნება. ფერმის პატრონმა მისცა თავისი ცხენი და
კაცები გააყოლა, რომ დამშვიდებული მისულიყვენ სახლში.

ნახევარ საათში პასტორი უკვე სახლში მივიდა.

ან. წერეთლისა.

(თარგმანი)



ძია შიოს.

(ძღწათ ნანა და ჰეკასგან)



ომ იცოდე რა გვიყვარხარ,
ჩვენო ძია, ჩვენო შიო,
გვინდა მულამ შენთან ვიყოთ
და გიყუროთ თვალებშიო!

ნეტა ყველა სხვა ძიებიც
შენისთანა კარგებია?
ნუ გგონია მისთვის გაქებთ,
რომ გვიყიდე გუშინ ბია!

არა! — დედა არ მოგვიკვდეს! —
შენ გვიყვარხარ იმისთვისა,
რომ ყოველთვის ჩვენთანა ხარ,
თავს გასწირავ ბავშვისთვისა!

დღე და ღამე ლექსებს ამბობ:
კობტებსა და ლამაზებსა,
ხან გვალხინებ, ხან გვაცინებ
ცელქებსა და მალხაზებსა!..

რა კარგია შენთან ყოფნა,
ჩვენო ძია, ჩვენო შიო!..
ცოტა ხანს კი მოგშორდებით:
უნდა ქათმებს გავუქშიოთ.

თორემ სულ მთლად აჰკენკავენ
ჩვენს სარჩოს და საბადებელს,
არ გვინდა მით ვაწყენინოთ,
ჩვენ საყვარელ დედა-მშობელს!

მერე ისევ მოვბრუნდებით,
შენთან მოვალთ, ჩვენო შიო,
მოგებევეით და ჩაგკოცნით,
მაგ ჭალარა წვერებშიო.

ია ეკალაძე.





პატარა გმირი ჰანსი.



აღიან შორს, ჩრდილოეთის ზღვის პირას, არის ისეთი ქვეყანა, სადაც მიწა ზღვაზედ უფრო დაბლაა, იმის მაგივრათ რომ უფრო მაღლა იყოს, როგორც სხვა ქვეყნებში. ზღვა რომ არ გადმოვადეს და ტალღებმა არ იმსხვერპლონ ქალაქები და სოფლები გოლანდიის მცხოვრებლებმა ააშენეს უზარმაზარი კედლები, რომლებიც იფარავენ მიწას ზღვისაგან. პატარა ბავშვებმაც კი იციან რომ უმცირესი ნახვრეტი ამ ჯებირში, კედელში საშინელებაა. წყალი წალეკავს მათ არე-მარეს. გოლანდიის ზღვის ნაპირას მდებარეობს პატარა ქალაქი ჰარლემი. ამ ქალაქის გვერდით სცხოვრობდა ერთი პატარა ბიჭი სახელათ ჰანსი. ერთ დღეს თავის ძმასთან ერთად ჰანსი წავიდა სასეირნოთ ზღვის პირას. ძალიან შორს, შორს წავიდენ, მიაღწიეს იმ ადგილას, სადაც არ მოიპოვებოდა არც ყანები, არც სახლები, მხოლოთ მინდვრებს და მინდვრის ყვავილებს ნახავდით.

ჰანსი დაიღალა, ავიდა ჯებირზედ და ზედ დაჯდა. მისი პატარა ძმა ძირს დარჩა იების საკრეფლათ.

უეცრად, პატარა ძმამ დაიყვირა:

— ჰანს! ჰანს' მოდი ნახე! რა უცნაური ხერიტილაა!

საპონის ქაფსავით ტრიალებს შიგ წყალი.

— ხერიტილა? სადა? იკითხა ჰანსმა.

— აი აქ, კედელში წყალი გადის.

— რა! დაიყვირა ჰანსმა.

საჩქაროთ ძირს ჩამოეშვა და ნახა ხერიტილა. პატარა ხერიტილა. სულ პატარა ხერიტილა ერთი წვეთი წყალის გამოსადენი.

— ჯებირშია ხერიტილა! დაიყვირა ჰანსმა. რა ვქნათ? შეშინებულმა მიიხედ-მოიხედა, მარჯვენ, მარცხენ, წინ, უკან, არავინ! არავინ!

და ქალაქი კი ასე შორს იყო!

ჭანსი დააკვირდა ხვრიტილას, წყალი წვეთ-წვეთათ გამოდიოდა. მან იცოდა რომ ხვრიტილა გადიდდებოდა თუ არ ამოამსებდენ რითიმე? მაშ რა ქნას? ქალაქში გაიქცეს? ყველა კაცები სათევზაოთ იყვნენ წასულნი. ვინ იცის როდის დაბრუნდებიან? ეხლა, კიდევაც, წყალი უფრო გადმოდიოდა, და ხვრიტილის გარშემო ცემენტი სველდებოდა. უცბად, ჭანსს თავში ერთმა აზრმა გაურბინა. ხვრიტილაში შედო თავისი დიდი თითი, რომელიც სულ ერთიანათ ჰფარავდა ხვრიტილას და ძმას უთხრა:

— გაიქეცი ჩქარა, ჩქარა, დიეტინგ! უთხარი კაცებს, რომ ხვრიტილაა ჯებირში. საჩქაროა მოვიდნენ, მანამ მე აქ თითით შევიმაგრებ წყალს, პატარა ბიჭი თავის ძმის გამოამეტყველებაში მიჰხვდა, რომ სახუმარო საქმე არ იყო, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიქცა. ჭანსი კი კედლის წინ დაჩოქილი, თითი ხვრიტილაში ჰქონდა და უყურებდა მიშავალ ძმას, მაგრამ ისიც მალე გაჰქრა და დარჩა ჭანსი მარტო-მარტო. ესმოდა წყლის ჩხრიალი მეორე მხარეს, ხანდისხან ტალღები ავარდებოდნენ მალლა და წინწკლები ეცემოდნენ ჭანსს.

ნელ-ნელა ხელი გაუშეშდა, უნდოდა მოეთბო მეორე ხელით, მაგრამ ვერ მოახერხა, უფრო და უფრო უცივდებოდა და უშეშდებოდა. გაიხედა ქალაქისკენ! არავინ! საწყალს მთელი მაჯა, კლავი და მხარი გაუცივდა, აკანკალდა. ოჰ! რა საშინლათ სციოდა! სულ ეჩვენებოდა ვითომ ბევრმა საათებმა განვლეს, რაც მისი ძმა უკვე წასული იყო. მარტოობა და დაღალულობა ძალიან იგრძნო. გზაზედ არავინ არ მოსჩანდა. მიაყრდნო თავი კედელს, დასასვენებლათ. მაშინ თითქოს მოესმა ოკეანის ხმა, რომელიც ამბობდა:

— მე ოკეანი ვარ, არავის არ შეუძლია მე წინააღმდეგობა გამიწიოს, ვინა ხარ შენ, პატარა ბიჭო, წინ რომ მელობები? ფრთხილათ იყავი! ფრთხილათ.

ჭანსს გული უცემდა, განა არასოდეს არ მოვიდოდნენ?.. და წყალი კი ხმაურობდა, ბუტბუტებდა.

— გავალ, გავალ, და შენ დაგახრჩობ, დაგახრჩობ, გაიქეცი, მინამ მოვიდოდე.

— არ გახვალ! სთქვა ჭანსმა — და არც მე გავიქევეი.



ამ დროს, მოესმა ძახილი. შორს, შორს გზაზედ მოს-
ჩანდა შავი მომავალი ბრბო. ჰოი ქალაქის კაცები იყვნენ.
მალე იცნო თავისი მამა მეზობლებით. მოჰქონდათ სამუშაო
იარაღები, მორბოდნენ და თან ყვიროდნენ: ყოჩაღათ იყავი!
მოვდივართ! ყოჩაღათ იყავი!“.

კიდევ ერთი წამი და მოაღწიეს ჯგებრს, როდესაც დაი-
ნახეს სიცივისაგან და სიმწუხრისაგან გადაფითრებული ჰანსი,
რომელსაც თითი ხვრიტილაში ჰქონდა—დაუყვირეს: ვაშა შენ
გმირობას! მამამ ყმაწვილი საჩქაროთ აიყვანა ხელში, დაზილა,
კარგათ გაათბო და ყველამ ერთ ხმათ უთხრეს: შენ ნამდვილი
გმირი ყოფილხარ, ქალაქი დალუპვას გადაარჩინე! როდესაც
ჯგებირი გაასწორეს და ქალაქისკენ წამოვიდნენ ჰანსი მხრებზე
შეისვესდა ვაშას ძახილით მიიყვანეს ქალაქში.

ქალაქ ჰარღემში დღესაც არ დავიწყებიათ ამ ყმაწვილის
გმირობა. ხშირათ ლაპარაკობენ ამ პატარა ჰანსზე, რომელ-
მაც გადაარჩინა განსაცდელს ამოცანა მუშაკანები, მათი სახლ-
კარი, მათი ქონება და მთლიან ქალაქი.

მედეია.

(ფრანკულიანი)





ქვეყნული
ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის.

გოგუდდგომი სსოლიტეო და სოლიტეატუ... გაზეთი

სახალხო ფურცელი

გამოვა იმავე პრინციპით, როგორც 1915 წელს გამოვიდა.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 9 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ. ნახევარი წლით ტფილისში 5 მან საზღვარ-გარედ 8 მ. ერთი თვით ტფილისში 90 კ., საზღვარ გარედ 1 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი ეველგან ერთი შუერი. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

წლიური ხელის მომწერნი, რომლებიც 1 აფრილამდე სრულედ გადაიხტიან წლიურ ფასს, მიიღებენ ბრემიას ორიგინალურ თხზულებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ მდგომარეობის შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო ფურცლის“ კანტორაში, სასახლის ქ. სარაჯიშვილის სახლი და წერაკისზე. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ფოსტის ადრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ПУРЦЕЛИ“ почтовышикъ 190

Открыта подписка на 1915 годъ
НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь“

(Годъ изданія седмой).

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисъ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб.—50коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб 25 коп.
„ 1 мѣсяць	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцова, ул. д. Сараджова. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ И. Тумановъ Издатель Э. З. Горделадзе

გეგილი

ქართული
ბიბლიოთეკა

საუბრალო ნახატებიანი ჟურნალი
რუსთა მეფეილა წალიწალი.

ქველი დაარსებულა 1890 წელს.

გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი
განყოფილებაა, ზღაპრებისათვის და მოწოდითათვის.
ქურნალი «ჯეჯილი» თბილისში ფიქრება
4 მან., ქადაქ გარეთ (გაგსაყნით) 5 მან.

ნახეყარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაზ.
ხელის მოწერა მიიღება: თბილისში — «ჯეჯილის» რედაქციაში,
(არტილერის ქუჩა, № 5.)

ფოსტის აღრები: ВЪ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго
журнала „Джеджили“

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ.

ყოველ-დღიური სალიტერატურო, საეკონომიო და საპოლიტი-
კო გაზეთი

„საქართველო“

ფორემიოდ — ყოველ-კვირულ სურათებიან დამატებით ღირს
8 მან. 50 კ. პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის
ღირს 10 მან. ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანება.

პრემიები: 1) სალიტერატურო კრებულს „მერანი“, გამოვა
სამ თვეში ერთხელ დასურათებულს. 2) „საქართველოს“
ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“, წიგნაკებათ. 3) საქარ-
ველოს ეროვნულ-პოლიტკურს დიდი რუქა.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კან-
ტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაევისა № 4. ფოს-
ტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4,
почтовый ящикъ № 76). და წერაკ-ითავის სათვალუებაში.